საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 8 (281) ● შაბათი, 18 იანვარი, 1992 წელი. ● ფასი 20 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ შექმნილი კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს მიწის კანონის პროექტი. სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი თენგიზ სიგუა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ოთარ ქვილითაია, სოფლის, ტყის მეურნეობის და კვების მრეწველობის მინისტრი ბატონი ნოდარ ჭითანავა, იუსტიციის მინისტრი ბატონი ჯონი ხეცურიანი და კომისიის სხვა წევრები.

მალე რესპუბლიკის მოსახლეობას საშუალება ექნება გაეცნოს ამ კანონპროექტს.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს განცხადება

ახლა, როცა შიდა ქართლში დაისახა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების რეალური გზები, ოსი და ქართველი ეროვნების გარკვეული ძალები, ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, ყოველნაირად ცდილობენ სამშვიდობო პროცესის ჩაშლას. როგორც გამოირკვა, 19 იანვარს ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში აპირებენ ოდინდელი ქართული მიწა-წყლის — შიდა ქართლის რუსეთთან შეერთების საკითხზე რეფერენდუმის მოწყობას.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს ეს ნაბიჯი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის უხეშ ცდად მიაჩნია და მოსალოდნელი შედეგებისათვის მთელ პასუხისმგებლობას დესტრუქციულ ძალებს აკისრებს.

სამხედრო საბჭო დაინტერესებულ მხარეებს განმეორებით მოუწოდებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებისაკენ.

ჯაბა იოსელიანი,
თენგიზ კიტოვანი

თბილისი, 1992 წლის 17 იანვარი.

ახლა, როცა საქართველოში ძალზე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობაა, ქვეყანა ფაქტობრივად სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშეა, მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფები კვლავ აძლიერებენ დაძაბულობას, მოსახლეობაში შუღლს და სიძულვილს აღვივებენ. ხალხს მოუწოდებენ კონფრონტაციისა და შეურიგებლობისაკენ. ასეთი მოქმედება მიმართულია ხალხისა და საზოგადოების საარსებო ინტერესების წინააღმდეგ და ფაქტობრივად მოწოდებაა ძმათამკვლელი ომისთვის. ყოველივე ეს მით უფრო მოუთმენელი და მიუტევებელია დღეს, როცა უსანქციო აქციების, მიტინგების და მანიფესტაციების მოთავეები არაფრად აგდებენ სამხედრო წესებსა და კომენდანტის საათს, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლესა და უშიშროებას.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ დაავალა გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს, უშიშროების მინისტრს ბატონ ანზორ მაისურაძეს, შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ რომან გვენცაძეს საგანგებო წესების პირობებში გათვალისწინებული კანონმდებლობის საფუძველზე უმკაცრესად მოსთხოვონ პასუხი იმ პირებს, ვინც ყურად არ იღებს მოწოდებას კეთილგონიერებისკენ და განაგრძობს უკანონო მოქმედებას.

საქინფორმი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის ცნობა

16 იანვარს 16 საათზე რესპუბლიკის მოედანზე თავი მოიყარა ათიათასობით ადამიანმა, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი აღშფოთება საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მორიგი პოლიტიკური ინტრიგებისა და ავანტურის გამო, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქართველოს საარსებო ინტერესებისათვის, მისი მთლიანობისა და ერთიანობისათვის. ამავე დროს მათ საქართველოს საზოგადოებრიობას მოუწოდეს, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, უღირს პოლიტიკურ მანიპულაციებს, რომელთა მიზანია რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის დაპირისპირებით სამოქალაქო ომის გამოწვევა. და ეს ხდება მაშინ, როცა ავტორიტარულ რეჟიმებს უმძიმესი მსხვერპლის ფასად თავდაღწეული ქართველი ხალხი ესწრაფვის სამოქალაქო მშვიდობასა და ერთიანობას, დემოკრატიზაციას, ჭეშმარიტი სახალხო მმართველობის ჩამოყალიბებას.

შეკრებილები გამოთქვამდნენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოში აღარ მოხდება ძმათამკვლელი კონფლიქტები და კოლექტიური ეროვნული გონი დაუყოვნებლივ მივა არსებულ რთულ სიტუაციაში ერთადერთ ჭეშმარიტ დასკვნამდე — ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობამდე. სწორედ ამ უკვდავმა იდეამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდე და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ საუკუნეებგამოვლილ თვალსაზრისსა და ისტორიულ რეალობას ხელყოფს.

მიტინგი, მართალია ტექნიკურად მოუმზადებელი იყო, რისთვისაც მისი ორგანიზატორები ბოდიშს უხდიან საზოგადოებრიობას, მაგრამ მისმა სულისკვეთებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ეროვნული კონსოლიდაციის იდეა უალტერნატივოა. ამ აზრს დღეს იზიარებს ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობა.

საქინფორმი

• • •

სურათზე: მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზვიად გამსახურდია საქართველოში

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 16 იანვარს დილაადრიან თვითმფრინავით ჩაფრინდა სოხუმში, საიდანაც მანქანით ქალაქ ზუგდიდში ჩავიდა და ამჟამად იქ იმყოფება.

ზუგდიდში დილის 10 საათზე გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ გამსახურდიას თანმხლები უახლოესი თანამებრძოლები. მიტინგზე ყოფილმა პრეზიდენტმა შეკრებილთ მოუწოდა თბილისში გალაშქრებისათვის და განაცხადა, რომ დაიწყო სამოქალაქო ომი.

მეთვალყურეთა აზრით, იუწყება საქინფორმის კორესპონდენტი, ვითარება ამ რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, შეიძლება მკვეთრად გამწვავდეს.

სოხუმში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლებსა და ჩეჩნეთის დელეგაციას შორის გაიმართა მოლაპარაკება სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ყურადღებით ადევნებენ თვალს მეზობელ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ეს დაადასტურა, კერძოდ, ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შამილ ბენომ, თუმცა მან მტკიცედ განაცხადა, რომ მეზობელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში რაიმე ჩარევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

თბილისის ამბების ექო

სოხუმში ყოველდღე იმართება გამსახურდიას მომხრეთა მიტინგები. ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები მოითხოვენ გაქცეული პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებას, მოუწოდებენ თბილისის ახალი ხელისუფლებისადმი სამოქალაქო დაუმორჩილებლობისათვის. აფხაზეთის არაქართული მოსახლეობა, მცირე გამონაკლისის გარდა, ნეიტრალურ პოზიციას ადგას, მიაჩნია, რომ თავად ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს თავიანთ ხელმძღვანელთა პოლიტიკურ მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

მძლავრდება რკინიგზელთა გაფიცვა. მატარებელი მოსკოვის მიმართულებით მიდის, არის მიმოსვლა ზუგდიდ-სამტრედიამდე, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში არ უშვებენ არც სატვირთო, არც სამგზავრო შემადგენლობებს. პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებზე გადაწყდა ბლოკადა გამოუცხადონ აღმოსავლეთ საქართველოს, რის გამოც მატარებლები არც სომხეთში მიდის. სოხუმიდან თბილისის მიმართულებით არც თვითმფრინავები მიფრინავენ. უკანასკნელი დღეების მანძილზე შეწყდა ტელეგადაცემები თბილისიდან. იმის გამო, რომ აფხაზეთში ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვების შედეგად ვერ იღებენ ყოველდღიურ თბილისურ და მოსკოვურ გაზეთებს, ინფორმაციას თბილისის ამბების შესახებ მოსახლეობა ძირითადად იღებს მხოლოდ ცენტრალური ტელევიზიის, რუსეთის ტელევიზიის, მოსკოვისა და საზღვარგარეთის რადიოს გადაცემებიდან. სოხუმის ფოსტამტში გამსახურდიას მომხრეები სპობენ თბილისიდან ჩამოტანილ გაზეთებს.

ამით ხელოვნურად მწვავდება ვითარება, ყალბდება საზოგადოებრივი აზრი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

ყოველდღე ზუგდიდში, ხობში, სენაკში, მარტვილში, ფოთში იმართება ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიტინგები, რომლებზეც იმასაც კი ამბობენ, რომ შესაძლოა შეიქმნას დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ახალ ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, თუმცა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები ილაშქრებენ ასეთი იდეის წინააღმდეგ და მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

გუშინ აფხაზეთის ტელევიზიამ გადასცა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ კორექტული ფორმით აკრძალა აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველგვარი მადესტაბილიზებელი არასანქციონირებული მიტინგების მოწყობა.

საქინფორმი

თბილისში ოპერატიული მდგომარეობა ჯერ ისევ დაძაბულია

თბილისის გულში ტრაგიკულ დღეებში მიყენებულმა ჭრილობებმა შეხორცება დაიწყეს, ქალაქმა ოდნავ შვებით ამოისუნთქა, სროლა მიწყნარდა, მაგრამ ოპერატიული ვითარება მაინც დაძაბულია.

თბილისში ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობის შესახებ ვესაუბრეთ ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსს გიორგი გულუას.

— შექმნილი ოპერატიული ვითარება მართლაც რომ საგანგაშოა. ყაჩაღური თავდასხმები, ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მისაღებად, ქუჩაში ძარცვა, ბინის ქურდობა, ავტომანქანების გატაცება, უკანონო იარაღის ტარება და სხვ. — აი თბილისში ყოველდღე მომხდარ დანაშაულობათა არასრული სია.

სტაბილიზაციის მისაღწევად მკაცრი ზომების განხორციელებაა საჭირო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ საქმეში საზოგადოება „თბილისელის" წევრებიც გვეხმარებიან.

უპირველეს ამოცანად მიმაჩნია საპასპორტო რეჟიმის დაცვა-განმტკიცება. ამასთანავე გვინდა ვთხოვოთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების მოქალაქეებს: უმჯობესი იქნება, თუ ისინი თბილისში უმიზნოდ ჩამოსვლისაგან მდგომარეობის განმუხტვამდე თავს შეიკავებენ.

როგორ ხორციელდება ქალაქის პატრულირება?

— სწორედ ახლა მიმდინარეობს გამსვლელი ჯგუფების ჩამოყალიბება.

ამ დღეებში საბურთალოს შინაგან საქმეთა დიდი დიღმის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილესთან მილიციის კაპიტანთან გია დელიბაშვილთან ერთად საქართველოს სამხედრო გზის პიკეტზე ვიყავით.

პიკეტის მუშაობას ხელმძღვანელობდა საბურთალოს შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის პოდპოლკოვნიკი არჩილ არველაძე.

— გუშინ 6 ავტომატი, 3 პისტოლეტი და 3 რევოლვერი ამოვიღეთ, იარაღი ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეო ნაწილს ჩაბარდა, გვითხრა ბატონმა არჩილმა.

პიკეტზე სამი ჯგუფი ვმუშაობთ — ავღანელთა კავშირი, საზოგადოება „თბილისელი" და საბურთალოს მილიცია. დღეს ქალაქის სამმართველომაც დაგვახმარა პირადი შემადგენლობა და გაძლიერებულ პატრულირებას ვეწევით, ვაჩერებთ ყველა მანქანას, ვამოწმებთ საბუთებს; ვათვალიერებთ სალონებსა და საბარგულებს ნაქურდალი ნივთებისა და უკანონო მფლობელობაში არსებული იარაღის ამოღების მიზნით.

დაღამებისთანავე ქალაქის სისხლის სამართლის მუშაკებთან ერთად მოძრავ შემოვლის ჯგუფში გადავინაცვლეთ და ქალაქის იმ რაიონში მივედით, სადაც ქურდობა და ძარცვა იყო მომძლავრებული.

უნდა აღვნიშნო რომ თუ ქალაქის შემოსასვლელები საიმედოდაა დაცული, თვითონ ქალაქში ოპერატიული მუშაობა, ალბათ, უფრო გააქტიურებას მოითხოვს.

მაგალითად, სტაციონარული ავტოსადგომებიდან დღე-ღამეში საშუალოდ 2-7 ავტომანქანას იტაცებენ. ამიტომ სადგომების მუშაკები სთხოვენ მოქალაქეებს მანქანები გაიყვანონ, აფრთხილებენ ხელის მოწერით, რომ ისინი ავტომანქანის დაკარგვაზე პასუხს არ აგებენ, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ გაუწიონ წინააღმდეგობა შეიარაღებულ ყაჩაღებს. ავტოსადგომებზე მფლობელები საკუთარ მანქანებს ხსნიან საბურავებს, სავარძლებს, რათა ხელი შეუშალონ ყაჩაღებს გატაცებაში.

კომერციულ მაღაზიათა მესამედი არ მუშაობს, ვინაიდან მათ უსაფრთხოებას არავინ იცავს.

სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება „ვოლგებზე", „ნივებზე" და 09 მარკის „ჟიგულებზე" ნადირობა. ზემო მთაწმინდაზე რამდენიმე დაშლილ-გაძარცვული მანქანა ვნახეთ.

ხან აქ, ხან იქ პიკეტები გვხვდებოდნენ, გვაჩერებდნენ და მანქანაში ორი ავტომატი რომ არ გვქონოდა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ასეთი შეხვედრები.

ალბათ, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების უფროსებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პიკეტების ზუსტი რიცხვის, ადგილმდებარეობის პატრულირების საათის დადგენას, რომ გაუგებრობებისაგან თავი დავიზღვიოთ. ასეთ გაუგებრობებს უაღრესად კარგად იყენებენ დამნაშავენი. მაგალითად, საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილის ცნობით დღის 12 საათზე სახელმწიფო მანქანაზე მძღოლმა საკუთარი მანქანის ნომრები დააყენა და სანაპიროზე მიემგზავრებოდა. გზად მძღოლი ოთხმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ შეაჩერა და საბუთები მოსთხოვა. როცა გაირკვა, რომ სახელმწიფო მანქანა იყო, მძღოლი ჩამოსვეს, ყაჩაღები მანქანაში ჩასხდნენ და მიიმალნენ. მათ კვალს კი დღესაც ეძებენ.

მართალია, უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა გაუმჯობესდა, პიკეტებზე თანამშრომლები მილიციის ფორმით გამოჩნდნენ მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი. მოძრავმა ჯგუფმა პატრულირება დილის 6 საათსა და 30 წუთზე დაამთავრა, განსაკუთრებული ექსცესები არ მომხდარა. მაგრამ ოპერატიული მდგომარეობის სტაბილიზაციაზე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია.

გიორგი კენჭოშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფალნი უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას გამსახურდიას წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაში

მოსკოვი. 16 იანვარი. (**საქდესის კორ. იგორ გვრიტიშვილი**). „აფხაზეთის ოფიციალურ ხელისუფლებს არ მიუღიათ და არც მიიღებენ არავითარ მონაწილეობას ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაში სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შესახებ". ეს აცნობა ტელეფონით საქდესის კორესპონდენტს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ.

ამავე დროს მან დასძინა, რომ ზვიად გამსახურდიას სოხუმში ჩამოფრენის ამბავი არც მან და არც მისმა უახლოესმა პირებმა არ იცოდნენ. „საქმე ის არის, რომ სოხუმის აეროპორტს ამჟამად მთლიანად აკონტროლებენ საქართველოს შერისხული პრეზიდენტის მომხრეები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, იცოდნენ მისი ჩამოფრენის ამბავი და უზრუნველყვეს როგორც თვითმფრინავის დაჯდომა, ისე ზვიად გამსახურდიას ჩაყვანა ზუგდიდში" — თქვა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ.

ვითარება საქართველოში

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს სამხედრო საბჭოში, სიტუაცია რესპუბლიკის დედაქალაქში მთლიანად ნორმალური ხდება.

ვითარების გაუმჯობესების ტენდენცია დაისახა ქალაქებში ქუთაისსა და სამტრედიაში. ქუთაისში, კერძოდ, სიტუაციის სტაბილიზაციას ხელს უწყობს ქალაქში საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის შემოღება, რომელიც ადგილობრივი მილიციის ძალებით ხორციელდება. მის დასახმარებლად 17 იანვარს თბილისიდან გაიგზავნა შეიარაღებული ქვეგანაყოფი.

ამავე დროს, კვლავ დაძაბული ვითარებაა ზუგდიდში, სადაც თავის მომხრეებთან ერთად დაბანაკდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ქალაქში იმართება მისი მხარდამჭერი მიტინგები.

კვლავ არ არის სიმშვიდე სოხუმში. მიღებული ცნობების თანახმად, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები პიკეტობენ სატრანსპორტო მაგისტრალებს, აბრკოლებენ ტვირთზიდვას აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით.

საქინფორმი.

სამართლიანი გადაწყვეტილება

1991 წლის მარტში საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს გაერთიანება „თავთავის" დირექტორი ჯუმბერ პატიაშვილი და მოახდინეს ამ დაწესებულების რეორგანიზაცია. ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა გაერთიანება „თავთავის" შრომითი კოლექტივი, რომელმაც კანონის უხეშ დარღვევად მიიჩნია გაერთიანების რეორგანიზაცია და გენერალური დირექტორის გათავისუფლება. ახლახან საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს სამართლებრივი ინსპექცია დაეთანხმა კოლექტივის მოთხოვნას, ჯუმბერ პატიაშვილის გათავისუფლება უკანონოდ ჩათვალა და ეს აცნობა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს ბატონ ნოდარ ჭითანავას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ყოფილი საქაგრომრეწვის გადაწყვეტილების გაუქმება და ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი უნდა აღადგინონ თანამდებობაზე საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 206-207 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქინფორმი.

კომენდანტის ცნობა

როგორც თბილისის კომენდანტმა ბატონმა გელა ლანჩავამ გვაცნობა, 17 იანვარს ღამის განმავლობაში დაკავებულია ოთხი ახალგაზრდა. კრიმინალური შემთხვევა არ ყოფილა. ქალაქში სიწყნარეა. მდგომარეობა მთლიანად კონტროლდება.

საქინფორმი.

მაროდიორობისთვის — დახვრეტა

დღეს, 17 იანვარს სპორტის სასახლესთან მდებარე კომერციულ მაღაზიას თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბანდიტი. ისინი არ დაემორჩილნენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს, შეტაკებისას სამივე მოძალადე იქვე მოკლეს.

საქინფორმი.

იმედი უნდა ვიქონიოთ...

— **ცხინვალში** ტორეზ კულუმბეგოვის დაბრუნების მომენტიდან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სამხედრო საბჭოს რწმუნებულმა გორის რაიონში ვლადიმერ დოლიაშვილმა, — რესპუბლიკის ამ რეგიონში მცხოვრებ ოსთა პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. მათი ნახევარი მიემხრო ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს და საჭიროდ მიაჩნია შეწყდეს ძმათამკვლელი ომი სამაჩაბლოში, დაიწყოს მშვიდობიანი მოლაპარაკება საქართველოს დროებით მთავრობასთან, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ანატოლი ჩეხოევი მეთაურობს, ამის წინააღმდეგია და მზად არის განაგრძოს შეიარაღებული კონფრონტაცია ქართველებთან.

საქინფორმი.

შიმშილობენ

თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზლის შენობაში შიმშილობა დაიწყო მოქალაქეთა მცირე ჯგუფმა. აქციის მონაწილენი არ ცნობენ საქართველოს ახლანდელ მთავრობას და მოითხოვენ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ზვიად გამსახურდიას დაბრუნებას.

თ. გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

ნაცადი ხერხი

იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს რესპუბლიკის ახალ მთავრობას, ყოფილმა პრეზიდენტმა ქუთაისში მიტინგების ჩასატარებლად, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით, სამტრედიიდან, ზუგდიდიდან და სენაკიდან გაგზავნა თავისი მომხრეები. წინასწარი მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა ორი ათასს აღწევს. ეს ძირითადად ქალები და ბავშვები არიან. ქუთაისის მიმართულებით ყოფილმა პრეზიდენტმა ასევე გაგზავნა ერთი საბრძოლო მანქანა და ასამდე შეიარაღებული კაცი. ბატონ გამსახურდიას ამ მოქმედებამ შესაძლოა ახალი სისხლისღვრა გამოიწვიოს.

17 საათისა და 30 წუთისთვის ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა კოლონა დატოვა რამდენიმე ასეულმა ადამიანმა. კოლონა შეჩერდა ქუთაისიდან 15 კილომეტრზე. ქალაქის შესასვლელები გადაკეტილი აქვთ მილიციის კორდონს.

საქინფორმი.

დეპეშა პარიზიდან

პარიზიდან მოვიდა დეპეშა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მისამართით. მასში ნათქვამია:

ბატონო პრემიერ-მინისტრო

ბატონ შალიკო თაყაიშვილის მიერ პარიზიდან ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი გამოგზავნილი მოწვევა არის პირადი ინიციატივა და არ გამოხატავს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს გენერალურ შეხედულებას.

ქართული სათვისტომო, რომელიც არის საფრანგეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოქალაქეების ოფიციალური ორგანიზაცია, უფლებამოსილებას გვაძლევს ჩვენ, მოგახსენოთ, რომ არავითარი ასეთგვარი მოწვევა არ გაკეთებულა და რომ ყველა სხვა ინფორმაცია განხილული იქნება როგორც დეზინფორმაციული ქმედება.

წინასწარ მადლობას გიხდით ამ განცხადების ქართულ პრესაში გამოქვეყნებისათვის.

მოგესალმებით,
რამაზ ბააკაშვილი,
ქართული სახლი, პარიზი.
1992 წლის 18 იანვარი.

მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობას

ახალგორის რაიონის პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რაიონის მშრომელები მხარს უჭერენ საქართველოს დროებით მთავრობას, მიესალმებიან უახლოეს დროში საქართველოში ეროვნული ყრილობის ჩატარებას.

ახალგორის რაიონის პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეკრების მონაწილეთა სახელით დროებითი საბჭოს თავმჯდომარე გ. ღუნაშვილი.

გემუდარებით, ნუ ესვრით ერთმანეთს ტყვიას!

ძვირფასო თანამემამულენო!

საშინელი დღეები გვიდგას. საქართველო შეიძლება ხერხემალში გადატყდეს, ეს კი სიკვდილს უდრის, მე ვთხოვ, მუხლმოდრეკით ვემუდარები ჩვენს დეპუტატებს, მცირე ხნით გადადონ დაპირისპირება და საჩქაროდ შეიკრიბონ, რათა წერილით მიმართონ გაეროსა და რუსეთის უზენაეს საბჭოს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ ქართველი მოსახლეობა თითქმის მთლიანად დეპორტირებულია რეფერენდუმის ზონიდან და გაბნეულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამის გამო უზენაესმა საბჭომ წინასწარ უნდა უარყოს ამ არაკანონიერი რეფერენდუმის შედეგები, რომელიც ლახავს ქართველი ერის ადამიანურ უფლებებს. ვთხოვ დეპუტატთა მეზობლებსა და ნაცნობებს შეევედრონ ხალხის რჩეულებს, რათა პირნათლად შეასრულონ თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. ეს აქტი საქართველოს ყოფნა-არყოფნას განსაზღვრავს. შიდა ქართლი საქართველოს გულია, გულის გარეშე კი საქართველო ვერ იცოცხლებს.

მე მსურს მოკრძალებით მივმართო ზვიად გამსახურდიას და შევახსენო, რომ ნაწყენი, გაბრაზებული კაცი ყოველთვის ვერ განსჯის მართალს, სარევანშო ბრძოლის გამართვა დაუშვებელია. იგი მომაკვდინებელი იქნება ქვეყნისა და ერისათვის, გთხოვთ, გევედრებით საქართველოს სახელით, ნუ დაუშვებთ ძმათა სისხლის ღვრას, მხოლოდ მოთმინება, დიალოგი და შერიგება უნდა იყოს დღევანდელი აზავთების დასასრული. ნუ დაიდებთ საქართველოს ცოდვას, ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს კეთილგონიერება.

ყველას შევახსენებ რასპუტინის ნათქვამს ჩვენზე: ქართველები ავადმყოფი ერია. როგორ გავუმართლეთ და გავახარეთ!

ყველას შევახსენებ: მოჩხუბარი ძაღლები მგლის გამოჩენაზე თავს ანებებენ ერთმანეთს. ნუთუ ჩვენ ასე დაგვიჩლუნგდა თავის გადარჩენის ინსტიქტი?

დღეს ძალიან ბევრს გული ვერ უძლებს და იხოცებიან, წუხანდელი ღამეც მეც ძლივს გავატანე და ღმერთს იმას ვეხვეწებოდი, ეს სათქმელი მიმეტანინე ჩემს თანამემამულეებთან-მეთქი!

— ნუ დავხოცავთ, ხალხნო, ერთმანეთს! გვახსოვდეს შიდა ქართლი, გვახსოვდეს საქართველო! გემუდარებით, ნუ ვესვრით ერთმანეთს ტყვიას! გემუდარებით, შევრიგდეთ და საქართველო გადაგვირჩება. შევრიგდეთ, შევრიგდეთ, შევრიგდეთ!..

დაზმირ ომიაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

გაუქმდა საქართველოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობისადმი სახელმწიფო კონტროლის ფუნქციების შემდგომი შეზღუდვისა და საკონტროლო ფუნქციების მქონე სახელმწიფო მმართველობის ზედმეტი და პარალელურად მოქმედი რესპუბლიკური ორგანოების შემცირების მიზნით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მ. პ. ჩიქვილაძის თავმჯდომარეობით.

სალიკვიდაციო კომისიას დაევალა გაუქმებული კომიტეტის მუშაკთა განთავისუფლება და მათთან საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

საქინფორმი

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ თენგიზ სიგუას წარდგინების საფუძველზე **გუჩა შალვას ასული კვარაცხელია** დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თეიმურაზ გიორგის ძე ცერცვაძე განთავისუფლდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

გვთავაზობს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი ღრმად თანაუგრძნობს საქართველოსათვის ტრაგიკულ დეკემბერ-იანვრის დღეებში დაღუპულთა ოჯახებს.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ფონდმა შეასრულა თავისი უშუალო მოვალეობა ამ ძნელბედობის დროს. მარტო დეკემბერში სამ ათასამდე მარტოხელას აღმოუჩინა დახმარება.

ფონდს გადაწყვეტილი აქვს რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდში გადარიცხოს 50 ათასი მანეთი.

ფონდი მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს ტრაგიკულად დაღუპულთა ოჯახებს და აღმოუჩინოს დახმარება.

ამასთან, ფონდს შეძენილი აქვს უცხოური წარმოების ოთახის ეტლები (ინვალიდებისათვის), რომლებიც გადაეცემა ამ დღეებში დაზარალებულ მოქალაქეებს.

ფონდის მისამართია: თბილისი, გამსახურდიას 30, ოთახი 402 ტელ: 38-07-75, 38-74-07.

საქინფორმი.

„თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტი"

ამ სათაურით ჩემი სტატია 27 დეკემბრის „ლიტერატურულ საქართველოში" უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ 27 დეკემბერს თბილისში გაზეთები საერთოდ არ გამოსულა, გინდაც გამოსულიყო, მოვლენები ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ მასალამ ოპერატიულობა დაკარგა. იმ სისხლიან დღეებში მთელმა ეპოქამ ჩაიარა ჩვენს თვალწინ, კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი შეემატა ჩვენს მატიანეს... ამიტომ ზოგი რამ შევცვალე, ზოგიც ჩავამატე ძველ სტატიაში და ახლა გამომაქვს დღის სინათლეზე.

დღევანდელი საქართველოს მხილველს ერთთავად გურამიშვილის სიტყვები მაგონდებოდა: „მერმე შინა აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი, თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტი", მართლაც, რა უბედურება გვჭირს ქართველებს ისეთი, რომ თვითგვემით ვისპობთ სიცოცხლეს?! ბევრი კეთილი ჩვევა გვაქვს, მაგრამ ზოგი ისეთი გამოგვერევა, საქვეყნოდ გვჭრის თავს. ჯერ კიდევ ჩვენი წინაპარი გოდებდა: „ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს, მას სცემოს და თვით იცემოს, დაჰქორჩოს და დაეკიდოს, რა ორნივე დაღალული ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს..." მეც მეშინოდა, ძალიან მეშინოდა, ვაი, თუ ჩემი „დაღალული ძმები" „ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს"-მეთქი. ძმებად ვთვლიდი ორივე მხარეს (ძმები იყვნენ და აბა, რად უნდა ჩამეთვალა!). ძმებად ვთვლიდი და ძმებივით მიყვარდნენ, მაგრამ ორივე მხრიდან „დებს" მკიცხავდნენ... ახლა ვეკითხები იმ ქალებს, რომლებიც მაშინ მაკრიტიკებდნენ: ორი ძმა რომ გყავდეთ, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულნი, რას იზამთ, რომელს გაიმეტებთ სასიკვდილოდ?! განა ორივე არ გიყვარებათ?! განა ორივეს შესარიგებლად არ მოუწოდებთ?! განა ყოფილი ხელისუფლება და ოპოზიცია, ორივე ერთად, თქვენი ძმები არ იყვნენ? განა შეიძლება რომელიმე მხრიდან მეორე მხარის სასიკვდილოდ გაწირვა?!

აქვე მინდა შეგახსენოთ, ჩემო ძვირფასო დებო და დედებო, რომ ამ გამაოგნებლად საშინელ დღეებში ქართველ ქალს განსაკუთრებული გონიერება მართებს. ჩვენი დიდი დედები ხმალამოწვდილ ვაჟკაცებს შუაში უდგებოდნენ, ისინიც უმალ ჩააგებდნენ ხმალს — იცოდნენ ქართული მანდილის ფასი — ზოგჯერ მოსისხლე მტრები ფიც-ვერცხლსაც კი ჭამდნენ. თამარის ქვეყნის შვილებმა როგორ უნდა გამოვუტანოთ სასიკვდილო განაჩენი თანამოძმეებს?! თამარის დროს ხომ სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოშიც, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დღეს კი ქართველი ქალი საქვეყნოდ გაჰკივის: ჩამოვახრჩოთ! დავწვათ! ჩავქოლოთ! — განა ოლღა გურამიშვილი არ ევედრებოდა ხელისუფალთ ილიას მკვლელები შეიწყალეთო?! რატომ გვავიწყდება, ჩემო დებო და დედებო, რომ ქეთევან წამებულის შთამომავალნი ვართ! რატომ გვავიწყდება, რომ ქვეყანა თავგანწირვას ჩვენგან მოითხოვს და არ მოითხოვს სხვის გაწირვას. იმის მაგივრად, რომ უფსკრულის სხვადასხვა მხარეს მდგომ ძმათა შორის შემაერთებელი ბადე მოგვექსოვა, ზოგი ჩვენგანი უკანასკნელ ძაფებსაც წყვეტდა და ერთთავად ხელს უწყობდა ტრაგედიის დატრიალებას. ბოროტება თოვლის გუნდებს ჰგავს, დიდ ზვავად აგორებულს. თითოეულ ჩვენთაგანს რომ თითო გუნდა დაგვექლო, ის ბოროტება გადნებოდა და წალეკვით აღარ დაგვემუქრებოდა!

ჩემო ძვირფასო ქართველო ქალებო, საქართველო დედათა ქვეყანაა! მამაკაცებმა არ მიწყინონ, დიახ, ქალთა ქვეყანაა საქართველო! ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ვცხოვრობთ! ჩვენი განმანათლებელიც ხომ ნინო მოციქულთა სწორია, პირველი ქრისტიანი ქართველი ნანა დედოფალი გახლავთ, ჩვენი ქვეყანა შვებით სუნთქავდა მხოლოდ თამარ მეფის ეპოქაში, ქართველი ყველაზე სათნოს, ყველაზე წმინდას ქალთან, დედასთან აიგივებს... ამიტომაც საქართველო ჩვენგან, ქალებისაგან მოელის შველას.

აქვე მინდა გავიხსენო „ვეფხისა და მოყმის ბალადა", რომელსაც ჰუმანურობით მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ბადალი არ მოეძებნება. სად, რომელ ქვეყანაში ნახავთ ქალს, რომელსაც მოკლული შვილი წინ ესვენოს და თან მკვლელის დედასთან მიდიოდეს სამძიმრის სათქმელად.

„თან იფიქრებდა: უდედოდ: გაზრდა ვინა თქვა გმირისა, იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა".

ეს უპრეცედენტო შემთხვევა შეიძლება მხოლოდ საქართველოში მომხდარიყო. იმიტომ, რომ ძველი ქართველები სულით ხორცამდე ქრისტიანები იყვნენ საქმით და არა მხოლოდ სიტყვით. ხალხურ ნაწარმოებებში ხალხი თავის სულიერ თვისებებს აქსოვს, ამიტომაც შეიქმნა „ვეფხისა და მოყმის ბალადა" საქართველოში.

ეროვნულობას მხოლოდ გვარი და სისხლი არ განსაზღვრავს. ეროვნულობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია იმ მდიდარ ტრადიციათა დაცვა, რომლებიც წინაპართაგან გადმოგვეცა. მოყმის დედა ქართველი ქალის იდეალური სახეა და გევედრებით, გემუდარებით ნუ მოვკლავთ დედას მოყმისას, გავაცოცხლოთ მისი სული ჩვენს არსებაში, თუ გვინდა, რომ უკვდავი იყოს ჩვენი ქვეყანა.

ახლა კი მამაკაცებო, თქვენ მოგმართავთ: ქართველი კაცი სულიერივით უფრთხილდებოდა ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, თავს სწირავდა და სულზე უტკბეს არსებებსაც ერჩია. გავიხსენოთ დიდოსტატის სიკვდილის წინა ჩვენება: როდესაც „შორენა გადმოვიდა კედლიდან" და „დაუჩოქა სამეზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული, ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან. მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი". ასეა, ძველი ქართველები ტაძრებს სწირავდნენ სულს, თანამედროვეებმა კი რუსთაველის პროსპექტი გაწირეთ უღვთოდ!

განა ამხელა მსხვერპლი, განა ამდენი ზვარაკი მართლა სჭირდებოდა დღეს საქართველოსაც? აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ ჩვენს ზვარაკებზე, შემოდგომის ფოთლებივით რომ ცვიოდნენ რუსთაველის პროსპექტზე... უზენაეს საბჭოში მივდიოდი ბესიკის ქუჩით, სანამ ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროს მივუახლოვდებოდი, მთელი ქუჩა გვარდიელებმა დაფარეს. გავჩერდი და ეროვნული სიამაყით შევცქეროდი ლამაზ-ლამაზ, დარჩეულ ბიჭებს. ერთს ვკითხე: სად მიდიხართ-მეთქი, — არ ვიცი, გამოგვიყვანეს და სად მივყავართ, არ ვიციო, — ქართული სილაღით მიპასუხა თვალებვარსკვლავა ჭაბუკმა. მერე სხვებისგან გავიგე, გია ჭანტურიას სასამართლო პროცესის დასაცავად მიჰყავდათ თურმე... ვწერ ამ სიტყვებს და ხელი მითრთის, ვაი, თუ მაშინაც, იმ სამარცხვინო ომშიც, არ იცოდნენ ბიჭებმა რისთვის იბრძოდნენ! რუსთაველზე ვცხოვრობ და ჩემს ყურთასმენას არ შორდება ის საზარელი ბლავილი, რომელიც 22 დეკემბერს, პირველი ბომბის აფეთქებისას გავიგონე! — ბლავილის ტალღამ გადმოიარა ჩემი სახლისკენ....

მე არ ვიცი ვის, რას, ვისთვის, რისთვის დასჭირდა სისხლის ტბების დაყენება რუსთაველზე, საჯიშე ბიჭების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტვა... ბევრნი ვართ, განა?! განა ცოტა იღვრება ქართული სისხლი გადამთიელთა ხელით! ახლა, როდესაც საქართველოს არტერია აქვს გადახსნილი სამაჩაბლოში, ჩვენდა საუბედუროდ, იმ გადახსნილი არტერიის მიხედვის ნაცვლად, ჩვენს მრავალტანჯულ მიწა-წყალს ხანჯალი ჩავეცით გულისგულში! დიახ! გულისგულში! მე ეს სიტყვები მხოლოდ მხატვრულობის თვალსაზრისით არ მითქვამს, — თბილისი გულია საქართველოსი, რუსთაველის პროსპექტი კი თბილისის გული, თუმცა, ახლა გული აღარა აქვს ჩემს თბილისს, გული ამოუშანთეს, გული ამოაღადრეს... შვილებმა!

კვნესის და მოსთქვამს გულისგულში დაჭრილი საქართველო, შველას გვთხოვს ყველას, ყველა თავის შვილს — „ძე ცთომილებს" თუ ცამდე მართლებს, თუმცა, მგონია, ახლა მართალი აღარავინაა ამ ჩვენს ცოდვით სავსე მიწაზე... თავის შვილებს გვევედრება მძიმედ დაჭრილი საქართველო: ნუ გამწირავთო — ნუ კლავთო ერთმანეთს, თუ ვაჟკაცები ხართ, გარეშე მტრები დაამარცხეთ, ჩემი სისხლით ნუ თვრებით, თორემ სულ მალე აღარ ვიქნებით! შეიყვარეთ ერთმანეთი, თორემ თქვენი სიძულვილი სულს დამიზრობსო!

სისხლი რომ სისხლით არ დაიბანება, ხომ კარგად მოგეხსენებათ, ჩემო დებო და ძმებო! დედებო და მამებო! შევისმინოთ მშობლიური მიწის გოდება, შევწყვიტოთ სისხლისღვრა, თორემ მართლა მოგვიკვდება სამშობლო და სამარცხვინო წერტილი დაესმება ჩვენს არსებობას!

წუთისოფელი იმიტომ ჰქვია ამქვეყნიურ ცხოვრებას, რომ, როგორც დიდი შოთა იტყოდა: წუთისოფელი „ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა" და ჩვენი სიცოცხლე „წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწორებელი". — მიწიერი ცხოვრება პლატფორმაა, მიმართულება ზეციური ცხოვრებისაკენ და, ვაი მას, ვისთვისაც დაიხშობა ზეცის თავანი, „მუნ იქნება საუკუნო ტრიალი და ღრჭენა კბილთა"-ო, გვაფრთხილებს მაცხოვარი.

სულ მალე ნინო ქართველთა განმანათლებლის — ჩვენი დიდი ნათლის დღესასწაულია. როგორ უნდა შევეხოთ წმინდა ვაზის ჯვარს, როგორ უნდა ვეამბოროთ წმინდა ქალწულის თმებს, თუ გულით ამდენ უწმინდურობას, ამდენ სისაძაგლეს ვატარებთ! შეგვრისხავს მაცხოვარი! შეგვრისხავს წმინდა ქალწული!

დიდად თავი მოგვქონდა: იოანე ზოსიმეს მიხედვით, მეორედ მოსვლისას, ღმერთი პირველად საქართველოში მოვა და ქართულ ენაზე განიკითხავსო მსოფლიოს. მოდით, თვალებში შევხედოთ ერთმანეთს და მწარე სიმართლე ვთქვათ: თუ ასე გავაგრძელებთ, ღმერთი არა თუ საქართველოში მოვა, პირიქით, ჩვენსკენ აღარც კი მოიხედავს და არა თუ ქართულად განიკითხავს მსოფლიოს, პირიქით, ქართულ ენაზე მოლაპარაკე აღარავინ დარჩება მთელ მსოფლიოში!

გახსოვთ, ინგლისელმა ჯორჯ ჰიუიტმა აუგი რომ თქვა ქართველებზე. რა დღეში ჩავცვივდით, ცეცხლი მოგვეკიდა გულზე და კრიტიკის ქარცეცხლში გავატარეთ აფხაზების სიძე. ახლა?! ახლა ვინც რა უნდა თქვას, როგორ მოგვიბრუნდება ენა! ან როგორ უნდა ავიღოთ კალამი თავდასაცავად! ხედავთ, რას ვაკეთებთ, ჩვენი გულარძნილობით?! — თავდაცვის საშუალებას ვსპობთ! თავმოყვარეობის დაცვასაც ვეღარ შევძლებთ! ძალით ხახაში ვუვარდებით უცხოს თუ მეზობელს, მტერსა თუ მოყვარეს. ყარაბაღის ომში ქართველები ცდილობდნენ სომხებისა და აზერბაიჯანელების მორიგებას, ახლა კი სომხები ჩამოვიდნენ ქართველების მოსარიგებლად, — სირცხვილია! სასირცხვილო და გასაკიცხი კიდევ ბევრი გვაქვს. ერთი ძველი, თუმცა არც ისე ძველი ამბავი უნდა გავიხსენოთ: ნოემბრის ბოლო დღეებში უნივერსიტეტის სტუდენტები შედიოდნენ მთავრობის სასახლისაკენ სრულიად უწყინარი ლოზუნგებით. ტრანსპორტში ხალხი შეჩოჩქოლდა:

— ახლა ისევ დაიწყება გამოსვლები! — შეწუხდა სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი.

— რუსთაველს გადაგვიკეტავენ და, ვაი, ჩვენს დღეს! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა დედამ, რომელსაც ბავშვი ალბათ პირველ სკოლაში დაჰყავდა.

— მისცენ, ბატონო, საათი ტელევიზიაში და ალაპარაკონ ეს ხალხი! რატომ გვირღვევენ ცხოვრების რიტმს, რა უნდათ ჩვენგან?! — გაცხარდა შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი.

— მაშინ ყველა გაიგებს, რომ...

— აქ უკვე პრეზიდენტი გალანძღეს და თანაც ვინ? — 15-16 წლის გოგონამ.

დაველოდე მოკამათეთა რეაქციას. ისინი კი, მანიფესტანტებს უყურებდნენ და რამდენადაც შევნიშნე აღარ აპირებდნენ საუბრის გაგრძელებას ალბათ იმიტომ, რომ დაიღალნენ, საერთოდ, გადაიღალა ქალაქი. მე კი მიუხედავად იმისა, რომ კამათი არ მიყვარს, ვერ შევძელი უპასუხოდ დამეტოვებინა გოგონას ნათქვამი. ვერ შევძელი თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში უფროს-უმცროსობა და საერთოდ, პატივისცემა ერთმანეთისა, ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა...

გავიხსენოთ რას ეუბნება ტარიელ გოლუა აღელვებულ მაცნეს, რომელმაც ერთადერთი შვილის დაპატიმრება შეატყობინა: როგორადაც უნდა გიჭირდეს, ჯერ მიესალმე კაცს, მერე კი ამბავი გადაეცი. დღეს, მართალია, საკმაოდ ერუდირებული ყმაწვილები გვყავს, მაგრამ ამ ერუდიციამ ეროვნული სახე არ უნდა დაგვაკარგვინოს... თუ ის გოგონა ისე ერკვეოდა პოლიტიკაში, რომ პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება შეეძლო, მაშინ საკუთარი თავისთვის არ უნდა ეკადრებინა ის სიტყვები, რასაც კარგად აღზრდილი ადამიანები არ ამბობენ. რა უფლება აქვთ გუშინდელ გოგო-ბიჭებს, რომ სალანძღავი სიტყვებით მოიხსენიონ „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველების" ავტორი?! ან რა უფლება ჰქონდათ მეორე-მესამე კურსელ სტუდენტებს, გაზეთის ფურცლებიდან „ჭკუა ესწავლებინათ" ბატონ აკაკი ბაქრაძისათვის! მე — იმ წერილებით აღშფოთებულმა, ბატონ აკაკის დასაცავი სიტყვის დაწერაც ვერ გავბედე, ვერ გავბედე იმიტომ, რომ ვერ გავბედე მიახლოება მის ავტორიტეტთან... ისინი კი ისე „მოძღვრავდნენ" ამ ბრძენ კაცს, თითქოს მათი გაზრდილი ყოფილიყო.

უაზრო წერა-კითხვით და ლაქლაქით ხომ ხედავთ, სადამდე მივედით! დღეის შემდეგ მაინც მოვუხმოთ გონიერებას დიდმა და პატარამ და ყველამ ჩვენჩვენი საქმე ვაკეთოთ, პოლიტიკაში ნუღარ ჩავერევით, პოლიტიკა პოლიტიკოსებს დავუთმოთ!

„გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და კეთილ უყოფდეთ მაწყევართა თქუენთა", გვმოძღვრავს სახარება. ახლა კი რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, სიძულვილით ალესილ სახეებს რომ ვუყურებ, თვალი მეჭრება! სიძულვილი ბობოქრობს, სიძულვილი დაძრწის ჩვენს ქალაქში და მეშინია ჯებირები არ გადალახოს, მთელ საქართველოს არ მოედოს, თორემ ღმერთი აღარ იქნება ჩვენი განმკითხავი, ჩვენვე ამოვჭამთ ერთმანეთს!

ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, შემწყნარებლობას, მიმტევებლობას ქადაგებს, თუ შემცოდემ გულით მოინანია, რა უფლება გვაქვს არ მივუტევოთ! აბა, გავიხსენოთ, „ძე ცთომილი" რა სიყვარულით შეირიგა მამამ... სინანულის კლასიკური ნიმუშია მარიამ მაგდალინელის მონანიება, — მეძავი ქალი ისე განიწმინდა, რომ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი სულ პირველად მას გამოეცხადა. მომნანიებლის დიდი მაგალითია პეტრე — თავი მოციქული, რომელსაც სიმტკიცის გამო თავად მაცხოვარმა კლდე უწოდა, ხოლო ეს პეტრე კრიტიკულ შემთხვევაში ისე შედრკა, სამჯერ უარყო იესო ქრისტე, მამალმა რომ იყივლა, გაახსენდა მაცხოვრის სიტყვები: სანამ მამალი დაიყივლებს, სამჯერ უარმყოფო მე,—გაახსენდა და პირქვე დაემხო, ცხარე ცრემლებით მოინანია დანაშაული. წმინდა წერილები გვამცნობენ, რომ ყოველ განთიადზე, მამლის ყივილისას, პეტრე მოციქული მუხლმოყრილი ევედრებოდა პატიებას იესო ქრისტეს... აქვე უნდა გავიხსენო მოციქული პავლე, რომელიც რომის მოქალაქე იყო, სამხედრო პირი და სასტიკად სდევნიდა, ჯვარზე აკრავდა ქრისტიანებს. მაცხოვრის გამოცხადების შემდეგ კი ისე მოინანია პავლემ და ისე განიწმინდა, რომ თავი მოციქული გახდა. იგი პეტრესთან ერთად სიკვდილით დასაჯეს ქრისტიანობის ქადაგებისთვის. აღსასრულის წინ პავლე ითხოვდა თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე, ვინაიდან თავს ღირსად არ თვლიდა, ისე ეწამებინათ, როგორც აწამეს მაცხოვარი.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, რომ შეგახსენოთ მიმტევებლობის აუცილებლობა და გირჩიოთ: თუ სახარებისეული მცნებების დაცვა არ შეგიძლიათ, მაშინ ნუღარ შევაწუხებთ არსთა გამრიგეს და ნუღარ ვიტყვით მაინც „ჩვენთან არს ღმერთი"-ო,— სხვა მცნებებთან ერთად ნუღარ შევბღალავთ მესამე მცნებასაც: „არა მიიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა".

ჩემო ძვირფასო ქართველებო! ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს სულებში, გავაანალიზოთ ჩვენი ცოდვა-ბრალი, დავიმახსოვროთ საკუთარი დანაშაული და არასოდეს, არასოდეს აღარ გავიმეოროთ!

მოვინანიოთ!

მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები!

ერთად ვიტიროთ გარდაცვლილებსა და ჩვენს ცოდვებზე...

მოვინანიოთ და განწმენდილი გულით მოვურჩინოთ გული ჩვენს თბილისს!

ნანა დავითაშვილი.

ინტერვიუ

გუშინდელივით დღეს ვეღარ ვიცხოვრებთ

საქართველოს ეროვნული შემოსავლის 25 პროცენტზე მეტს კვების მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციით ვღებულობთ. მიუხედავად ამისა, სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავდა ამ დარგში მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნას. ამიტომაც ბევრ შემთხვევაში წარმოებას არ აინტერესებდა მეცნიერული სიახლეების დანერგვა.

დღეს უნდა შეიქმნას ყველა წინაპირობა საიმისოდ, რომ როგორც მეცნიერი, ასევე წარმოების მუშაკი, ერთნაირად დაინტერესდნენ საქართველოში არსებული ნედლეულის რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიებით, რათა შეიქმნას ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქცია მსოფლიო ბაზრისათვის.

ვფიქრობთ ჩვენი გაზეთის მკითხველისა და საერთოდ ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს კვების მრეწველობისა და ამ დარგის ინსტიტუტების წინაშე არსებული პრობლემები და მათი დღევანდელი საქმიანობა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ნუგზარ ბალათურიას და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

კორესპონდენტი: ბატონო ნუგზარ, თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით თქვენი ინსტიტუტის საქმიანობა.

ნუგზარ ბალათურია: ჩვენს ინსტიტუტს წლეულს დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. იგი საქართველოში ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა, სადაც საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკის საკვები მცენარეული ნედლეულის კვლევას. მათი გონივრული გამოყენებისათვის ინსტიტუტი წლების მანძილზე ემსახურებოდა საქართველოს საკონსერვო, ღვინის, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლებისა და ეთერზეთების მრეწველობას. იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში გახლდათ სათაო, წამყვანი ორგანიზაცია ეთეროვანი ზეთებისა და ნატურალური საღებავების შექმნასა და წარმოებაში. ინსტიტუტში გამოგონებული ტექნიკა და ტექნოლოგიები ფართოდაა გამოყენებული რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკის მრავალ საწარმოში.

ჩვენი მეცნიერული კვლევის სფეროს შეადგენს კვების მრეწველობის მრავალი დარგი. მაგალითად, რესპუბლიკის ეთერზეთების წარმოებებში დღეს არსებული სამრეწველო ტექნოლოგიების 80 პროცენტზე მეტი ინსტიტუტის მიერ არის შექმნილი. საკონსერვო ქარხნებში მზადდება ათეული დასახელების ახალი სახის პროდუქტი; ნატანებში 1985 წლიდან მუშაობს ციტრუსოვანთა ანარჩენებიდან ნატურალური არომატიზატორების მისაღები მექანიზებული ტექნოლოგიური ხაზი; საარბიტრაჟო პრაქტიკაში დანერგილია ხილ-კენკროვანთა წვენებისა და ყურძნის ღვინოების ნატურალურობის დადგენის მეთოდები; პირველად ჩვენ გადავჭერით საკონდიტრო საწარმოებში არსებული პრობლემა, კაკაოს მარცვლის ნარჩენების რაციონალური გამოყენების ტექნოლოგია, ჩვენი ტექნოლოგიებით მრავალ რესპუბლიკაში აწარმოებენ ნატურალურ საღებავებს, სანელებლებს და სხვ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება შორს წაგვიყვანს, რამეთუ ინსტიტუტს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავისი სამეცნიერო მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს.

კორ.: მაშინ იქნებ გვითხრათ, როგორ გესახებათ კვების მრეწველობის თქვენ მიერ დასახელებული დარგების მომავალი და ინსტიტუტის როლი მათს განვითარებაში?

ნ. ბ. იცით, მე დავიწყებდი ეთერზეთების მრეწველობით და აი რატომ. საზღვარგარეთ, კვების მრეწველობაში, გამოშვებული ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის, ძეხვეულის, პარფიუმერიისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის მაღალ ხარისხს და მათს ფართო ასორტიმენტს, სხვა დანამატებთან ერთად, ძირითადად, ეთეროვანი ზეთების გამოყენებით აღწევენ. იმის თქმა გვინდა, რომ შეუძლებელია ზემოაღნიშნულ პროდუქტებში კონკურენცია გავუწიოთ, თუ არ გამოვიყენებთ ნატურალურ არომატიზატორებს — ეთეროვან ზეთებს. ამიტომ სადაო არ არის, რომ მისი მრეწველობის განვითარება ახლა ჩვენთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

დღეს საქართველოს ეთერზეთების მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 90 პროცენტი ევგენოლური რეჰანისა და დაფნის ეთეროვან ზეთებზე მოდის. მას ძირითადად რუსეთის საწარმოები საკმაოდ მაღალ ფასად ყიდულობენ. რეჰანის ერთ კილოგრამ ზეთში 700-800 მანეთს გვიხდიან, მაგრამ კონვერტირებადი მანეთით ვაჭრობისას მას ჩვენგან აღარ იყიდიან, რადგან მსოფლიო ბაზარზე ერთი კილოგრამი რეჰანის ზეთი 2-3 დოლარი ღირს. ასე რომ, ამ ზეთებს რუსეთში ვეღარ გავიტანთ და ამიტომ დარგი, ალბათ, დაშლის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

კორ.: ეს დარგისათვის არც თუ ისე სახიამოვნოა. რას ილონებს ინსტიტუტი შექმნილი მდგომარეობის გამო?

ნ. ბ.: ჩვენ დღესვე, რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა მოვიძიოთ ახალი ეთერზეთოვანი მცენარეები, რომელთა წარმოება, მსოფლიო ფასებით ვაჭრობისას ჩვენთვის რენტაბელური იქნება. დავადგინეთ, რომ ასეთი მცენარე არის კამა. მისი ზეთიდან უკვე მივიღეთ ახალი პროდუქტი, რომლის შეძენაზე სურვილი გამოთქვეს ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ფირმებმა. წლეულს პირველი პარტია უკვე გადავუტვირთეთ ავსტრიის ფირმა „დრაგოკოს".

კორ.: მარტო კამა უშველის იმ მოსალოდნელ საშიშროებას, რომელზედაც თქვენ ბრძანეთ?

ნ. ბ.: პერსპექტიულად მიგვაჩნია აგრეთვე გერანისა და ვარდის ზეთების წარმოება. ისეთი რაოდენობით უნდა ვაწარმოოთ ისინი, რომ მათი გაყიდვის შედეგად შემოვიტანოთ კვებისა და სხვა დარგებისათვის საჭირო არომატიზატორები. ასეთი წესით მუშაობენ, მაგალითად, ამერიკაში, სადაც ძირითადად პიტნის ზეთს აწარმოებენ.

კორ.: ხომ არ დაგვისახელებდით პროდუქტებს, რომლებიც აღნიშნული არომატიზატორებით დამზადდა?

ნ.ბ.: როგორ არა, ინსტიტუტში ფართოდ გაიშალა სამუშაოები არომატიზებული მაღალალკოჰოლიანი სასმელების შექმნისათვის. საქმე ის არის, რომ ჩვენში არყები ძირითადად მზადდებოდა რუსეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი სპირტით. მისგან ვამზადებდით რუსულ არაყს და ისევ რუსეთში ვყიდდით. ხვალ უკრაინა და რუსეთი ნედლეულს აღარ მოგვაწვდიან, რომ რუსული არაყი ვაწარმოოთ. თუ მოგვყიდიან, ალბათ, მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ ფასად. ამიტომ, უნდა შევიმუშაოთ მაღალალკოჰოლიანი სასმელების ისეთი ასორტიმენტი, რომლითაც კონკურენციას გავუწევთ რუსულ არაყს თავისსავე სამშობლოში. ასეთი პროდუქცია უკვე დავამზადეთ ნატურალური არომატიზატორებით, რომლებმაც კარგი სახელი დაიმკვიდრეს რუსეთსა და ბალტიისპირეთში. ჩვენს მიერ დამზადებული ლიქიორული ღვინო კი თბილისის ფირმა „ლილომ" საექსპორტოდ აქცია.

აღსანიშნავია, რომ ეთეროვანი ზეთებით შევქმენით ტარხუნის, პიტნისა და სხვა ლიმონათები. ამიერიდან უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში საჭირო აღარ იქნება ეთილის სპირტი და რესპუბლიკის მასშტაბით 80-100 ათასი დეკალიტრი რექტიფიცირებული სპირტი დაიზოგება, მით უმეტეს, რომ მის დეფიციტს უკვე განიცდის რესპუბლიკა.

აგრეთვე რეალურად გვესახება არომატიზებული მინერალური წყლების წარმოება. საფრანგეთში, ამ პროდუქციას დიდი რაოდენობით ამზადებენ და ერთიანად გააქვთ ამერიკაში, რითაც მნიშვნელოვან მოგებას ნახულობენ. ჩვენც დავამზადეთ რამდენიმე ასორტიმენტის არომატიზებული მინერალური წყალი და იმედი ახლო მომავალში გვექნება ამ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

კორ.: მოგეხსენებათ „საქეთერზეთმრეწვი" მზესუმზირას ზეთის მომწოდებელიც იყო, რომლის უკმარისობას უკვე განვიცდით. როგორ გესახებათ მისი წარმოების შესაძლებლობანი მომავალში?

ნ. ბ. მზესუმზირას ზეთით რესპუბლიკას ძირითადად ოჩამჩირის ქარხანა ამარაგებდა, რომელიც რუსეთიდან შემოზიდულ ნედლეულს ამუშავებდა. დღეს მისი უქონლობის გამო იგი გაჩერებულია. სამწუხაროდ, არც მომავალში მოგვაწვდის რუსეთი ამ ნედლეულს. ამის თაობაზე იმსჯელა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ. მან ჩვენ და მიწათმოქმედების ინსტიტუტს დაგვავალა იმ საკითხის შესწავლა, თუ როგორ დაგვეღწია თავი ამ დეფიციტისათვის.

უკვე წარვადგინეთ წინადადება მეტად პერსპექტიული ზეთოვანი კულტურის რაფსის გამოყენებაზე და მისი საქართველოში დანერგვის თაობაზე. შერჩეულია აგრეთვე ამ მცენარის საიმედო ჯიში და საკვები ზეთის დამზადების რაციონალური ტექნოლოგია. ალბათ, ოჩამჩირის ზეთსახდელი ქარხანა მალე დაიწყებს მის გადამუშავებას. დღეისათვის გადასაწყვეტია მხოლოდ ორგანიზაციული საკითხები.

კორ.: შეუდრება რაფსის ზეთი მზესუმზირისას?

ნ. ბ.: საკვებად იგი მარგებელია და არ ჩამოუვარდება მას.

კორ.: კიდევ რა რეზერვები არსებობს კვების მრეწველობაში, რომელთა გამოყენებაზე ინსტიტუტს გააჩნია კონკრეტული წინადადებები, და რა არის საჭირო მათი ამოქმედებისათვის?

ნ. ბ.: ციტრუსოვანთა გადამუშავების დროს წარმოიშობა ნარჩენები საწყისი ნედლეულის 50-60 პროცენტის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ამ ნარჩენებში გაცილებით მეტია სასარგებლო ნივთიერება, ვიდრე ძირითად პროდუქტში — წვენში. დღეს უკვე გვაქვს ამ მეორადი ნედლეულის უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგია. ყურძნის გადამუშავებისას რჩება წიპწა, რომლიდანაც შეიძლება საპნის წარმოებისათვის აუცილებელი ცხიმზეთის მიღება. კიდევ სხვა ბევრი წინადადებაა, რომელთა წარმოებაში დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ნედლეულის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ამიტომ აუცილებელია, — სხვაგვარად გაჭირვებას თავს ვერ დავაღწევთ, — რომ დასახელებული და სხვა რეზერვების ამოქმედებისათვის ანუ მეცნიერული სიახლის წარმოებაში დანერგვისათვის, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერი და წარმოების მუშაკი მატერიალურად დავაინტერესოთ. მხოლოდ ეს არის გზა ხსნისა.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საბჭოური ცხოვრების პირობებში მეცნიერული სიახლეების დანერგვა კვების მრეწველობის საწარმოებს თითქმის არ აინტერესებდა. ამის საილუსტრაციოდ ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს გერანის ახალი ჯიში, რომელიც მსოფლიოში არსებულთან შედარებით 3-ჯერ მეტ მაღალხარისხოვან ზეთს შეიცავდა. ეს ჯიში წარმოებაში არ დაინერგა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელს უშლიდა ჩრდილოვანი ეკონომიკის აწყობილ მუშაობას. შევქმენით აგრეთვე მაღალხარისხოვანი ეთერზეთების მისაღები ახალი ტექნოლოგია. იგი აღიარეს ახალ მიმართულებად და დღეს ფართოდ იყენებენ მთელ რიგ ქვეყნებში. საქართველოში კი ეს სიახლე ვერ დავნერგეთ... ამ წესით ჩვენ შეგვეძლო გვეცხოვრა გუშინ, როდესაც რუსეთის ბაზარზე თავისუფლად საღდებოდა მდარე ხარისხის პროდუქცია, მაგრამ ხვალ ჩვენგან უკვე არავინ იყიდის ფალსიფიცირებულ წვენებს, უექსტრაქტო ჩაისა და არამდგრად ღვინოებს.

კორ.: მაგრამ ამბობენ, რომ იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც საქართველოში წარმოებული კონსერვებით სტუმრის გამასპინძლება კაცს არ შერცხვებოდა.

ნ. ბ.: მართალია. საკონსერვო მრეწველობა ამ 30-40 წლის წინათ მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის პროდუქციას უშვებდა. მომდევნო წლებში კი ცხოვრების ყველა სფეროში სიმახინჯე დამკვიდრდა, რაც ამ დარგსაც დაეტყო. სოციალისტური ეკონომიკის განუყოფელი ატრიბუტის — ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა უნიკალური ქართული ხილიდან, ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქტების ნაცვლად, შაქრიანი წვენების წარმოებაზე მასობრივი გადასვლა. ამ და სხვა კვების პროდუქტებში საქაროზის სიჭარბე არღვევს ორგანიზმში ქოლესტერინისა და ცხიმოვანი რიგის მჟავების ტრანსპორტირებას, ხელს უწყობს სისხლში შარდმჟავას დაგროვებას, ყველაფერი ეს ათეროსკლეროზის, დიაბეტის, ჰიპერტონული და სხვა დაავადებათა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. როგორც ექიმები ირწმუნებიან, დღეს იშვიათად თუ ნახავთ საქართველოში სრულებით ჯანმრთელ კაცს, თუნდაც 20-25 წლისას. ამის ერთ-ერთი მიზეზია საქაროზით გაჯერებული წვენების, საკონდიტრო ნაწარმისა და უალკოჰოლო სასმელების უკონტროლო წარმოება და მოხმარება.

კორ.: ადრე შაქარსაც ხმარობდნენ და მარილსაც, მაგრამ ცნობილია, რომ საკმაოდ ჯანმრთელი ხალხი ცხოვრობდა.

ნ. ბ.: წინანდელი და დღევანდელი საკვები მარილი ერთი და იგივე არ გახლავთ. ადრე მარილს ზღვის წყლის ერთსაფეხურიანი აორთქლებით იღებდნენ. ამ დროს მიღებული პროდუქტი წარმოადგენს ნივთიერებათა ნარევს, რომელიც თავისი ქიმიური შემადგენლობით უახლოვდება ადამიანის სისხლში შემავალ არაორგანულ ნივთიერებებს. ასეთივე შემადგენლობისაა აგრეთვე მარილის ბუნებრივ საბადოებში არსებული პოლიგალიტები.

მაგრამ კარგა ხანია ზღვის წყლიდან მარილს სხვა ტექნოლოგიით დებულობენ, პოლიგალიტებს კი ისე გულმოდგინებით აქუცმაცებენ, რომ მათში ნატრიუმის ქლორიდის გარდა პრაქტიკულად აღარაფერი რჩება. ესპანეთში, სადაც დღემდე, ძირითადად ზღვის წყლიდან ერთსაფეხურიანი აორთქლებით მიღებულ მარილს იყენებენ ე. ი. იგივე პოლიგალიტს, ერთ-ერთი უმძიმესი დაავადება — ლეიკემია გაცილებით ნაკლებად გვხვდება, ვიდრე იქ, სადაც საჭმელს კაზმავენ ნატრიუმის ქლორიდით.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ბუნებაში არარსებული რაფინირებული საქაროზა და იგივე დისაქარიდი, მიღებული ხილის მოხმარებით სხვადასხვანაირად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, ადრე სუფთა შაქარს პრაქტიკულად არ ხმარობდნენ. ჩაისა და სხვა საჭმელებს ატკბობდნენ ვაშლის, მსხლის, სტაფილოს და სხვა ბადაგით.

კორ.: მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ, შაქრის დეფიციტის გამო სპეციალურად აძაგებთ მას, მაინც რით შეიძლება საქაროზის შეცვლა?

ნ. ბ. უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნებაში საქაროზის მისაღებად საჭირო ნედლეული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა უფრო სასარგებლო შაქრების — გლუკოზისა და ფრუქტოზის შემცველი ნედლეული. დღეს ბევრ ქვეყანაში იღებენ გლუკოზა-ფრუქტოზულ სიროფებს. კარგ შედეგებს მიაღწია ფინურმა ფირმამ „სუომენ სოკერიმ". იქ გამოყენებული ტექნოლოგიით მიიღეს სიმინდის სიროფი, რომელიც შეიცავს 55 პროცენტ გლუკოზას, 42 პროცენტ ფრუქტოზას და საქაროზას წილად კი მხოლოდ 3 პროცენტი მოდის.

იაპონიაში უახლოეს ხუთწლედში შეიქმნება ბიორეაქტორი, რომლითაც აწარმოებენ ძალიან იაფ შაქარს. მას არ ექნება საქაროზასათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები.

კორ.: ახლო მომავალში ამ გზას, ალბათ, საქართველოს კვების მრეწველობაც დაადგება, მაგრამ დღეს როგორ მოვიქცეთ, როცა შაქრის უქონლობის გამო მთელი რიგი საწარმოები ნედლეულს ვერ ამუშავებენ?

ნ. ბ.: ჩვენ, მაგალითად, საქართველოში ერთ-ერთი მაღალტონაჟიანი საკონსერვო ნედლეულის— კაკაფურის ჯიშის მსხლისაგან უშაქროდ შესანიშნავი წვენი მივიღეთ. საქკონსერვმრეწვის სპეციალისტებმა დაამუშავეს ციტრუსის სასმელის რეცეპტურა, რომელშიც შაქრის ნაცვლად, უფრო სასარგებლო, ყურძნის წვენი შეაქვთ და ა. შ. ეს უკვე ის პროდუქტებია, რომლებიც შეიძლება საექსპორტოც გახდეს, მაგრამ ამ სასარგებლო საქმისათვის საჭიროა წინაპირობა. მწარმოებელმა მაღალხარისხოვანი პროდუქცია რომ გამოუშვას, აკი მოგახსენეთ, იგი მატერიალურად უნდა იყოს დაინტერესებული... დასამალი არ არის, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, კვების მრეწველობის მუშაკი არსებულ პირობებში მაღალხარისხოვან პროდუქციას ვერ აწარმოებს.

კორ.: რა საშუალებები აქვს სახელმწიფოს გამომუშავებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად?

ნ. ბ.: კვების მრეწველობაში გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს სერტიფიკაცია. იგი მოწოდებულია ობიექტურად შეაფასოს საწარმოთა მიერ გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი, ხელი შეუწყოს მის გატანას მსოფლიო ბაზარზე, დააინტერესოს მწარმოებელი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით და დაიცვას მომხმარებელი მავნე პროდუქტებისაგან. როგორც ყველა ქვეყანაში, საჭიროა საქართველოშიც დამუშავდეს კანონმდებლობა სერტიფიკაციების ფუნქციონირების სისტემის თაობაზე, დაკანონდეს პროდუქციის ხარისხის მართვის წესი და სხვა.

კვების მრეწველობაში გამომუშავებულ პროდუქციაზე არსებული სტანდარტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი არ შეიცავენ ყველა იმ მაჩვენებლებს, რომლებიც მოწმდება პროდუქციის სერტიფიკაციისას. თვით კვების მრეწველობის საწარმოებიც არ არიან მზად მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის (წარმოების დაბალი ტექნიკური დონე, მომუშავეთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და ა. შ.). ამ მხრივ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი.

კორ.: კვების მრეწველობაში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი როლი, ალბათ, სწორედ დარგობრივმა ინსტიტუტებმა უნდა შეასრულონ. რა მდგომარეობაა დღეს ამ ინსტიტუტებში, რა არის საჭირო ამ მეცნიერული პოტენციალის ასამოქმედებლად და კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მეცნიერი დაფინანსების სახებნელად ხელგაწვდილი არ დადიოდეს?

ნ. ბ.: კვების მრეწველობის დარგობრივი ინსტიტუტები ბოლო 10 წლის მანძილზე ძირითადად დაფინანსების ძიებით ვართ დაკავებული. ამის გამო ინსტიტუტები ლამის სამინისტროების ცნობათა ბიუროებად გადაიქცნენ. პრაქტიკულად ჩაკვდა საძიებო და ფუნდამენტური სამუშაოები, ურომლისოდაც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა. დიდია მეცნიერული კადრების დენადობა კოოპერატივებისა და კომერციული ინსტიტუტებისაკენ. ადრე თუ კონკურსი იყო ასპირანტურაში წასვლაზე, შარშან 5 ვაკანტურ ადგილზე, არც ერთი მსურველი არ აღმოჩნდა.

თუ დარგობრივ ინსტიტუტს აქვს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ექსპერიმენტული ქარხნების სახით და მისი პორტფელი სავსეა მზა იდეებით, მაშინ მას დაფინანსების ძებნა არ დასჭირდება, თვითონ დააფინანსებს ფუნდამენტურ საძიებო სამუშაოებს, შექმნის მეცნიერულ პროდუქციას და დანერგავს მას თავის საწარმოში, როცა დასჭირდება, გაჰყიდის მას საზღვარგარეთ და ა. შ.

დღეს საქართველოში რამდენიმე ტექნოლოგიური პროფილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტია. მეცნიერული პოტენციალით ჩვენ, შეიძლება ითქვას, ვუსწრებთ ბევრ ჩვენზე უფრო კარგ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ და უფრო დიდ ქვეყნებსაც. ამიტომ ამ პოტენციალის დაკარგვა, მისი უპატრონოდ მიტოვება, მიშვება სწორი არ იქნებოდა. ჩვენი აზრით, ამ ინსტიტუტებს უნდა მივამაგროთ, ექსპერიმენტული ბაზის სახით, კვების მრეწველობის საწარმოები, სადაც მათ საშუალება მიეცემათ გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი. ეს ძალიან სასარგებლო იქნება როგორც დარგობრივი მეცნიერების, ასევე საკუთრივ კვების მრეწველობის საწარმოების განვითარებისათვის. ჩვენი მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინსტიტუტთან არსებული კვების მრეწველობის საწარმოები დღესაც, ნედლეულისა და მასალების მწვავე დეფიციტის პირობებში, წარმატებით შრომობენ, რადგან ინსტიტუტს ყოველთვის შეუძლია ოპერატიულად შექმნას ახალი ასორტიმენტის პროდუქცია ან მოდიფიკაცია გაუკეთოს არსებულს. ამ ქარხნებში დანერგილი სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებული მოგების ნაწილი ინსტიტუტსვე უბრუნდება და ეს არის მეცნიერების დაფინანსების ყველაზე რეალური და მყარი წყარო.

კორ.: ხომ შეიძლება ინსტიტუტმა თავისი სიახლეები გარე საწარმოებში დანერგოს და იქიდან მიიღოს მოგების კუთვნილი წილი?

ნ. ბ. დღეს ჩვენთან არსებულ პირობებში ეს არარეალური საშუალებაა. ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ჯერ კიდევ 1985 წელს, აბაშის ერთ-ერთ ქარხანაში დავნერგეთ ტექნოლოგია, რომელმაც ქარხანას საშუალება მისცა ტოქსიკური ნარჩენებიდან, რომლებიც ყოველწლიურად ანაგვიანებდნენ გარემოს, მიეღო პროდუქტი, რომლის ერთ ლიტრში მომხმარებელი 500 მანეთს იძლევა. ქარხანა ყოველწლიურად საშუალოდ ერთ მილიონ მანეთ მოგებას ღებულობს, მაგრამ ვერც ინსტიტუტმა და ვერც გამოგონების ავტორმა დღემდე გასამრჯელო ვერ მიიღო. რომ იცოდეთ, ასეთი მაგალითები მრავლად მოგვეპოვება.

ასე რომ, ინსტიტუტებს ამ ეტაპზე მის დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი მიმართულების ერთი-ორი ქარხანა მაინც სჭირდება. და ამით, ვიმეორებ, შევინარჩუნებთ მეცნიერებასაც და ქვეყანასაც დიდ სარგებელს მოვუტანთ.

და კიდევ ერთი, საწარმოების პრივატიზაციისას საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ უნდა აიკრძალოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ექსპერიმენტული ქარხნების გაყიდვა, რადგან დარგობრივი ინსტიტუტი მის დაქვემდებარებაში მყოფი ექსპერიმენტული ბაზის უქონლად ვერ იარსებებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უახლოეს პერიოდში საჭიროა დამუშავდეს საქართველოს კანონები სამეცნიერო ორგანიზაციისა, სამეცნიერო ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს სამეცნიერო კოლექტივების უფლებათა დაცვას, აამაღლებს მეცნიერის ავტორიტეტს, რაც თავის მხრივ წინაპირობაა სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

კორ.: სხვა რა წყაროები არსებობს დარგობრივი მეცნიერების დასაფინანსებლად?

ნ. ბ. მეცნიერება დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის გამიზნული თანხები აკუმულირდება აგრეთვე სოფლისა და კვების მრეწველობის სამინისტროში. დაფინანსების ამ წყაროების გარეშე შეუძლებელი იქნება კვების მრეწველობაში პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება. მეურნეობრიობის ახალ პირობებში საჭიროა დამუშავდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის კონცეფცია, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რაც გულისხმობს პროექტების კონკურსს, დამოუკიდებელ ექსპერტიზას და სხვა.

კორ: ჩვენ საკმაოდ ბევრ პრობლემას შევეხეთ დღევანდელ საუბარში, მაგრამ რომელს მიიჩნევდით უმთავრესად?

ნ. ბ. ჩემი აზრით, დღეს უმთავრესია კადრების კომპეტენტურობის პრობლემა. საბაზრო ეკონომიკით ნაკარნახევი ცხოვრების ახალი წესი თვითონ შეიტანს კორექტივებს ჩვენს ცნობიერებაში და ალბათ, აღარ ექნება ადგილი ისეთ კურიოზებს, როდესაც მეღვინედ მუშაობაზე პედაგოგი აცხადებდა პრეტენზიას, მეცნიერად მუშაობაზე კი უწიგნური.

აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე ყველანი ყვარყვარეობის ერთგვარი აღზევების მოწმენი გავხდით საქართველოში. რაც იმან განაპირობა, რომ თანამდებობებზე დანიშვნა ძირითადად ხდებოდა პარტიულობის ან ნათესაური ნიშნის მიხედვით. ამ მავნე პრაქტიკამ ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ კვების მრეწველობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ამიტომ მე მთლიანად ვიზიარებ საქართველოს პარტიათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიმართვას დროებითი მთავრობისა და სამხედრო საბჭოსადმი, იმის თაობაზე, რომ კადრების შერჩევისას ახლა მაინც ზუსტად განისაზღვროს და, რაც მთავარია, დაცულ იქნეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება პიროვნებების დანიშვნა სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე.

კორ: თქვენ ზემოთ ახსენეთ კომერციული სასწავლებლები. დღეს თქვენი ინსტიტუტის პროფილის რამდენიმე ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. მიიღებთ თუ არა ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულებს კვლევით ინსტიტუტში, და, საერთოდ, როგორია თქვენი აზრი კომერციულ სასწავლებლებზე?

ნ. ბ. სწორი არ იქნებოდა აეკრძალათ ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები. მაგრამ არც ის იქნება გამართლებული, რომ სახელმწიფომ არ დაიცვას ახალგაზრდობა შემთხვევითი ლექტორ-მასწავლებლებისა და ფიქტიური უმაღლესი სასწავლებლებისაგან. ჩემი აზრით, მათი რეგისტრაციისას უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი იმაზე, თუ რამდენად რეალურია ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის საფუძველზეც იხსნება სასწავლებელი და რამდენად კომპეტენტურია აქ მოწვეული ლექტორ-მასწავლებლები.

რაც შეეხება კვლევით ინსტიტუტში მიღებას, ახალგაზრდას ჩვენ ვღებულობთ გამოსაცდელი ვადით, და თუ ამ პერიოდში ის გამოავლენს კვლევითი მუშაობის უნარს, დიპლომის წარმომავლობას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

კორ: ხომ არაფერს დაუმატებდით?

ნ. ბ. მხოლოდ იმას დავძენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესების დასაცავად გუშინდელივით დღეს ვეღარ ვიცხოვრებთ...

ესაუბრა
როლანდ ბასილაშვილი

ირაკლი აბაშიძე

ქართულმა მწერლობამ, ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ უმძიმესი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე.**

იშვიათი მხატვრული ნიჭიერების, ფართო და მრავალმხრივი ერუდიციის, მძაფრი შემოქმედებითი პოტენციის ხელოვანმა ღირსეულად განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები და დიდი წვლილი შეიტანა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებაში, როგორც მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და უბრწყინვალესმა წარმომადგენელმა.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ირაკლი აბაშიძე დაუღალავად იდგა ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში და თავისი შემოქმედებითი შრომით თავდადებულად ემსახურებოდა ქართული მხატვრული აზროვნების, სალიტერატურო ენის გამდიდრება-განვითარების საქმეს.

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე დაიბადა 1909 წლის 23 ნოემბერს დაბა ხონში.

1931 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ირაკლი აბაშიძე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ჟურნალ „ოქტომბრელის" პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „პიონერის" რედაქტორად, ჟურნალ „მნათობის" პასუხისმგებელ მდივნად და მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქტორად, სახელგამის რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. 1966 წლიდან კი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი ქართული ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორად მუშაობდა და უდიდესი ამაგი დასდო პირველი ქართული ენციკლოპედიის სრული თორმეტტომეულის გამოცემის საშვილიშვილო საქმეს. სადაც არ უნდა ემუშავა, რა საქმეც არ უნდა ეკეთებინა, იგი მუდამ ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ჭეშმარიტი მამულიშვილი და შემოქმედი მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს.

ირაკლი აბაშიძის ლიტერატურული დებიუტი 1928 წელს შედგა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე გამოქვეყნებულ ამ ლექსებში უკვე მკაფიოდ გამოვლინდა მისი პოეტური ნიჭიერების დამახასიათებელი თავისებურებანი — მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, მომხიბვლელი ლირიზმი, ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეში წვდომის უნარი, სიახლის გამძაფრებული გრძნობა, გამახვილებული პოეტური სმენა, ინტონაციური მრავალფეროვნება, დახვეწილი გემოვნება, მდიდარი ფანტაზია, მეტყველების ბუნებრიობა, სიწრფელე და უშუალობა. ირაკლი აბაშიძის პოეზიაში დიდი პოეტური ხელოვნებით გამოიხატა ჩვენი თანამედროვის სულიერი მშვენება და კეთილშობილება, ნათელი ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება. განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობასა და პოპულარობას მიაღწია მისმა პოეზიამ მეორე მსოფლიო ომის წლებში. მისი ბრწყინვალე ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე" მუდამ დარჩება ქართველი კაცის სულიერი სიმტკიცის, ვაჟკაცობისა და გმირობის შთაგონების გამომხატველად. ომის დამთავრებისთანავე პოეტმა ზედიზედ გამოაქვეყნა ლირიკული ციკლები: „მონადირის ღამეები", „მუყავის გურია", „სიმღერა მკის დროს", რომლებშიც განსახიერდა საქართველოს სახელოვანი ისტორიისა და დღევანდელობის განუყოფელი ერთიანობის განცდა, პოეტური აზროვნების სიღრმით გამოირჩევა ლექსების ციკლი „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან", რომელიც შეიცავს თანამედროვე ფილოსოფიური ლირიკის, პოეტური მედიტაციის მკაფიო ნიმუშებს.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედების თვისებრივად ახალი ეტაპია ლექსების ციკლები „რუსთაველის ნაკვალევზე" და „პალესტინა, პალესტინა", რომლებშიც მისმა პოეზიამ ახალი შინაარსი შეიძინა, ახალი ფერებითა და განწყობილებით გამდიდრდა. ამ ციკლებში, რომლებსაც უკვდავი შოთას ნათელი ადგას, ირაკლი აბაშიძემ დიდი პოეტური ძალისხმევით განახორციელა საზოგადოებრივისა და პიროვნულის ის განუყოფელი ერთიანობის პრინციპი, რაც ეგზომ დამახასიათებელია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლირიკისათვის და რასაც ასე თანამიმდევრულად იცავდა იგი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე.

ირაკლი აბაშიძე ქართველი ბავშვების საყვარელი პოეტი იყო. მისი საბავშვო ლექსები და პოემები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა პოემა „რას გადაურჩა თბილისი", ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ოქროს ფონდში დამკვიდრდა. მის კალამს ეკუთვნოდა ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური წერილებისა და მხატვრული ნარკვევების წიგნები. იგი წარმატებით მუშაობდა მხატვრული თარგმანის დარგშიც. მისი ჩინებული თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ალექსანდრე პუშკინის, ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ივანე ვაზოვის, ხრისტო ბოტევის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ავეტიკ ისააკიანისა და სხვათა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

ირაკლი აბაშიძე ჭეშმარიტად სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ. იგი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარედ. ირაკლი აბაშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მთელ ძალასა და ენერგიას მშობელი ხალხის წინსვლასა და კეთილდღეობას ახმარდა.

ქართველ ერს მუდამ ემახსოვრება ის დიდი ღვაწლი, რომელიც ირაკლი აბაშიძემ შოთა რუსთაველის სახელის უკვდავსაყოფად გასწია. იგი იმ რჩეულთა შორის იყო, რომელთა დიდმა გარჯამ და რუდუნებამ რუსთაველის 800 წლის იუბილეს მსოფლიო რეზონანსი მისცა და შორს გაიტანა ქართული პოეტური გენიის სახელი. სწორედ ირაკლი აბაშიძე იყო ინიციატორი და მონაწილე იმ ექსპედიციისა, რომელმაც შორეული პალესტინის მიწაზე, ჯვრის მონასტერში ფრიად საყურადღებო საძიებო სამუშაოები შეასრულა.

წლების მანძილზე ირაკლი აბაშიძე მუდამ ღირსეულად წარმოაჩენდა საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებსა და ქვეყნებში.

სამშობლომაც ღირსეულად დაუფასა ამაგი ღვაწლმოსილ შვილს. იგი დაჯილდოებული იყო ყველა ქართველისათვის სანუკვარი ჯილდოთი — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემია, პოეტი-აკადემიკოსის წოდება.

ირაკლი აბაშიძის ხმა ყოველთვის მოაზროვნე საქართველოს ხმა გახლდათ, ისტორიული პასუხისმგებლობით გამსჭვალული და ზნეობრივად ამაღლებული საქართველოს ხმა. იგი დასტური იყო იმ ჰუმანისტური და პატრიოტული მსოფლგაგებისა, რომელიც ნაკურთხია ხალხთათვის თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, მშვიდობისა და დემოკრატიის მაუწყებელი მცნებით.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლების დამდეგს, ტოტალიტარიზმის მძვინვარების ხანაში, ირაკლი აბაშიძის დაუცხრომელი მეცადინეობის შედეგად საქართველოში, პირველად საბჭოთა იმპერიაში, მ. ჯავახიშვილით, ტ. ტაბიძით, პ. იაშვილით დაიწყო უდანაშაულოდ რეპრესირებული მწერლების რეაბილიტაციის პროცესი.

ცრემლიანი საქართველო ეთხოვება თავის პოეტს, ღვაწლმოსილ, ამაგდარ შემოქმედს, ღირსეულ მოქალაქეს თავისი ქვეყნისა, ირაკლი აბაშიძის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში, ჩვენი ეროვნული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.



სამუდამო ადგილი

მე, ალბათ, ვერასოდეს ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ ირაკლი აბაშიძე აღარ არის. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი განსაკუთრებით მიყვარდა, არამედ იმიტომაც, რომ დრო მას ვერაფერს აკლებდა. ახალგაზრდულად შემართული, ლამაზი იყო, როგორც ყოველთვის — გონებამახვილი, სახემომღიმარი თავის გარშემო სითბოს აფრქვევდა; და მჯეროდა, რომ ასე იქნებოდა მუდამ, სულ.

გუშინდელ დღესავით მახსოვს მისი ჩამოსვლა თბილისში 1926 წელს, უნივერსიტეტში შესასვლელად, პირველი შეხვედრა ჩვენს სახლში. მას ჩამოტანილი ჰქონდა ლექსების თხელი რვეული — მე იმ ლექსების ერთი პირველი მკითხველთაგანი ვიყავი. ის მაშინ 17 წლისა იყო, — გატაცებით მესაუბრებოდა პოეზიაზე, თანამედროვე ქართველ პოეტებზე, რომელთა ლექსები ზეპირად იცოდა.

რა დიდი, საინტერესო, ღრმად შინაარსიანი გზა განვლო მან მას შემდეგ! ეს სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი, რომელსაც სულ მალე უკვე „ნიჭიერ დამწყებ პოეტად" მოიხსენიებდნენ, გაიზარდა შესანიშნავ, მართლაც „ზეგარდმო შთაგონებულ" შემოქმედად, რომელმაც კლასიკური ნიმუშებით გაამდიდრა ჩვენი მწერლობა, და ეროვნული კულტურის დიდ მოღვაწედ, რომლის ამაგიც, რაც დრო გავა, მით უფრო გამოჩნდება და დაფასდება.

მას ბედმა არგუნა, თავისი მოღვაწეობის გარკვეულ საფეხურებზე არსებითი გავლენა მოეხდინა არა მარტო ლიტერატურულ, არამედ მთელ ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაზე. განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ მისი როლი გადამწყვეტი იყო 1937 წელს დაღუპულ ქართველ მწერალთა პირველი რეაბილიტაციის საქმეში?

რა მაღალი ღირსებით წარმოადგენდა ირაკლი ქართულ მწერლობას შინ და გარეთ, საერთაშორისო ასპარეზზე! ვისაც მოუსმენია ან წაუკითხავს მისი საჯარო გამოსვლები, ვერ დაივიწყებს მათ — იმდენად დამოუკიდებლად გააზრებული, მახვილგონივრული, ორიგინალური იყო ყოველი მათგანი. რამდენი გულითადი მეგობარი და პატივისმცემელი შესძინა მან ქართულ მწერლობას, საერთოდ საქართველოს თავისი შემოქმედებითაც და თავისი ადამიანური თვისებებითაც!

მისი, როგორც პოეტის, ძალა, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი „არა მარტო ტკბილ ხმათათვის" იყო მოვლენილი ქვეყნად: მისი პოეზია ღრმა ნააზრევისა და განცდის შეხამების ნაყოფია. მისი ლექსები და ლექსთა ციკლები წმინდა ლირიკულია. ლექსი, თუ მაღალი მოქალაქეობრივი მოტივებისადმია მიძღვნილი — მუდამ მნიშვნელოვანია და არასოდეს—ფუჭი, ზერელე; ყოველი მათგანი გულსაც ხვდება და გონებასაც. ვინც ირაკლის შემოქმედებას იცნობს, იცის ისიც რომ მას მთელი თავისი არსებობის მანძილზე „ერის წყლული აჩნდა წყლულად", მისი „ბედით და უბედობით" ედაგვოდა გული.

ამიტომ მოიპოვა ირაკლის პოეზიამ განსაკუთრებული პოპულარობა, ამიტომ შეიყვარა და შეითვისა იგი ხალხმა. ბევრ სხვა შესანიშნავ ლექსზე რომ არაფერი ითქვას, იშვიათად მოიპოვება ქართულ მწერლობაში ნაწარმოები, რომელსაც ისეთი საყოველთაოსახალხო აღიარება ჰქონდეს მოპოვებული, როგორიც „პალესტინა-პალესტინამ", განსაკუთრებით ჩვენი ენის შეუდარებელმა ჰიმნმა „ხმა კატამონთან" („ო, ენავ ჩემო").

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებას უკვე დამკვიდრებული აქვს სამუდამო ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში, ირაკლის სახელი მარად სიყვარულით და მადლობით იქნება მოხსენებული... მაგრამ რა ძნელია იმის დაჯერება, რომ ველარასოდეს ველარ ვნახავ ცოცხალ ირაკლის, ჩემი ბავშვობის უძვირფასეს მეგობარს, რომ ველარასოდეს ვერ ვიხილავთ მის კეთილ ღიმილს.

ვახტანგ ბერიძე.

ისტორიის საკუთრება

ბატონო ირაკლი!

მოგმართავთ ისე, როგორც ამ ერთი კვირის წინათ, რადგან ჯერ ვერ გამიცნობიერებია თქვენი გარდაცვალება. მეგონა, რომ თქვენ, მუდამ შემართულს, სიკვდილი ვერას დაგაკლებდათ.

...არ შემიძლია დავივიწყო თქვენი ბედნიერი, გახარებული თვალები, როცა ამ ერთი თვის წინათ, უნივერსიტეტის კარი შემოაღეთ და სხდომათა დარბაზისკენ გამოემართეთ. სიხარულის მიზეზი გალაკტიონისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამოში თქვენი მონაწილეობა იყო. პირველი შედექით კათედრაზე, უბიდან გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების წიგნი ამოიღეთ და რამდენიმე ლექსი მღელვარედ წაიკითხეთ. ეს, კარგა ხნის დუმილის შემდეგ, თქვენი პირველი გამოსვლა იყო. ვინ იფიქრებდა, თუ ეს თქვენ მიერ ლექსის უკანასკნელი საჯარო წაკითხვა იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ ეს თქვენი და ქართველი ხალხის დიდ ტაძარში — თბილისის უნივერსიტეტში მოხდა. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ თქვენი პირველი თბილისური ნათლობაც სწორედ უნივერსიტეტში შედგა, როცა ამ შვიდი ათეული წლის წინათ სწავლის მისაღებად ქვემო იმერეთის ერთი პატარა პროვინციული ქალაქიდან დედაქალაქს მოაშურეთ. თქვენ ყოველთვის დიდად აფასებდით უნივერსიტეტში გატარებულ სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებს.

„ვინ რას დამყვედრის, დღეც არ გასულა მე, არ მეცოცხლოს ქვეყნის ხმაურით" — წერდით, ბატონო ირაკლი, ერთ თქვენს ლექსში და მართლაც უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის მთელს სიგრძეზე უღალატოდ ემსახურეთ ქართულ მწერლობასა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ დიდ გზაზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში, თქვენ რომ დიდი მონაწილეობა არ მიგეღოთ.

თქვენ დიდი ამაგი დასდეთ იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციას, რომლის თაოსანი და მონაწილე თვითონ იყავით და რომელმაც ბევრი საინტერესო ფაქტი მოგვცა. მოგვცა შოთა რუსთაველის ფრესკაც. თქვენს სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის საერთაშორისო მასშტაბით ჩატარება.

ბატონო ირაკლი!

რთული, ამასთან ბედნიერი იყო ჩემთვის თქვენთან ერთად ქართული ენციკლოპედიის მთავარ რედაქციაში გატარებული წლები. თქვენი მეთაურობით აღსრულდა ქართველი ხალხის ძველთაძველი ოცნება ერის დიდი საგანძურის — ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემისა.

თქვენ უსაზღვრო თაყვანისმცემელი იყავით ჩვენი ხალხის წარსულის, მისი დიდი წინაპრებისა და გარდასულ დიდებათა შემორჩენილი ძეგლებისა. უპირატესად კი დღევანდელობით ცხოვრობდით, სიახლით სუნთქავდით, ფიქრობდით ხვალინდელ დღეზე.

„მეხო, შენი ჭექა, რისხვა, მეხობა,
არ დამთანხმდე, ოდეს გითხრა:
— მეყოფა"—

მეყოფაო — არ გითქვამთ, ბატონო ირაკლი, ისე წახვედით ამ ქვეყნიდან. წახვედით იანვრის სუსხიან დღეს, ნათლისღების კვირაძალში.

წახვედით და თან წაიღეთ დიდი ნაღველი, დარდი თქვენი საყვარელი საქართველოს უთავქამო, ტრაგიკული და შფოთიანი ცხოვრების გამო.

...ნათლისღება დღეს დიდუბის წმინდა მიწა მიიბარებს ირაკლი აბაშიძის ცხედარს. ამ დღიდან ირაკლი აბაშიძის სახელი ისტორიის სამარადისო საკუთრება გახდება.

როინ მეტრეველი.

გამოსათხოვარი

საქართველოს საყოველთაო ტკივილს კიდევ ერთი დიდი ჭრილობა დაემატა — გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც ფანატიკოსთა ძალისხმევით შექმნილ ბოროტების იმპერიაში შეინარჩუნა პიროვნული ღირსება და სალაყბო პოლიტიკაზე აშენებულ ქვეყანაში საქმით ემსახურა მშობლიური ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ერის სიყვარულით გარემოსილმა მოაზროვნე პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, ადრევე ირწმუნა, რომ იგი არ ყოფილა მითიური ქვეყნის შვილი, სიცოცხლის არსი და მიზანი იმქვეყნიური ცხოვრებით რომ გაემართლებინა და განსდგომოდა მიწიერ ბედნიერებას.

ბატონი ირაკლისათვის არ ყოფილა არაფერი უცხო, რაც ადამიანს ერთი სიცოცხლის გზაზე ბედის სახით თან სდევს, არც დიდი სიხარული და არც ტკივილი, არც გოლგოთა და არც იუდების ამბორი. მან შესანიშნავად იცოდა ადამიანის ბუნება და ყოველთვის ცდილობდა აღზევების თუ დაცემის ჟამს მისთვის თანაეგრძნო, შეემსუბუქებინა მიწიერი სიმძიმე.

ირაკლი აბაშიძე საქართველოს კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელთა ნაღვაწის არ დაფასება დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — „მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ერს". მის მიერ საქართველოს სასიკეთოდ გადადგმული რამდენი ნაბიჯი შეიძლება გავიხსენოთ, რამდენი ქვეყნის საზღვარი გადაუკვეთავს სამშობლოს სახელის შორს გასატანად, მის სადიდებლად და ასამაღლებლად. ნათქვამია — „ერი ყველა ტკივილს გაუძლებს თუ ამ ტკივილს თან ახლავს სინდისის ქენჯნა". დღეს მთელი საქართველო ემშვიდობება თავის ღირსეულ შვილს, ემშვიდობება უმძიმეს პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში, როცა თითოეული ჩვენგანი განვიცდით სინდისის ქენჯნას ძმათა შორის ატეხილი ომის და ამ ომში დაღვრილი სისხლის გამო, ტრაგიკულად სახეშეცვლილი თბილისის გამო.

ეს დიდი ტკივილი ალბათ, ერის სულიერი კათარზისის გამოხატულებაა „სოდომის და გომორის" ცოდვის უმძიმესი მორალური საზღაურია.

როგორ საგანგაშოდაც არ უნდა აჟრჟოლდეს ჩვენი [illegible], როგორც არ უნდა გადაფასდეს სულიერი ღირებულებანი, ბატონ ირაკლი აბაშიძის სახელს, მის მაღალ პოეზიას და მამულიშვილობას ჩრდილი არასოდეს მისწვდება, ვიდრე ქართველი იმ ენაზე ილოცებს, რომელსაც პოეტმა შეუდარებელი ჰიმნი მიუძღვნა. დღეს ამ ჰიმნით ემშვიდობება მშობლიური ერი დიდ შემოქმედს, რომლის სული ამიერიდან მარადიულობაში გარდაისახება. მშვიდობით ბატონო ირაკლი.

ელგუჯა ამაშუკელი

„მოვხუცდეთ, მაგრამ მოვკვდეთ მგოსნებად"

„წადით! აჰა, მე გგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის".

(სახარება ლუკასი).

პოეტი ღვთის შვილია, ღვთის შვილი წავიდა ჩვენგან...

იცის კი ქართველმა ხალხმა რა უბედურებაც დაატყდა თავს? ალბათ, არა, სამწუხაროდ ასეა, ასე იყო და ასე იქნება...

წავიდა ჩვენგან დიდი პოეტი და დიდი მოღვაწე, რომელსაც ამ ქვეყნად, ამ წუთისოფელში არაფერი არ აპატიეს...

„ვერაფერს ქვეყნად ვერ
შეველიე,
ცხოვრების ყველა ზვირთში
ვერიე"—

არ აპატიეს...

„მიმშლი ვიყავ მეგობრის
სულთან,
ყველა ვაჟკაცი მეგობრად
მსურდა"—

არ აპატიეს...

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და
ფრენავ"—

„ხმა კატამონთან" არ აპატიეს...

თავისი იუბილე კი არა, დიდი რუსთაველის იუბილე არ აპატიეს...

სახელი და გვარი არ აპატიეს...
ზრდილი შვილები არ აპატიეს...
ბოლოს სიჩუმეს მოუხმო, მთლად გაირინდა, მაგრამ სიჩუმე არ აპატიეს...

„და ჰა, გამოჩნდა შოთას
სახებაც,
შოთა დევნილი, შოთა
ლტოლვილი,
ღრმად გარდასული, ღრმად
დათოვლილი"...

წავიდა და გვითხრა:

„თუ ვისმეს გვერგო ღრმად
მოხუცება
მხოლოდ ეს აზრი გვქონდეს
ოცნებად;
მოვხუცდეთ, მაგრამ მოვკვდეთ
მგოსნებად"

ქართველებო, ჩვენ ჩვენი წილი სიკვდილი მაინც ვაპატიოთ ერთმანეთს!

„ო, არა გაზაფხულზე, ზამთარში...
ზამთარში!"

ირაკლი აბაშიძის ახალი სიცოცხლე მეელით ახალ წელს დაიწყო...

ჯანსუღ ჩარკვიანი.



შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის პირველი ლაურეატები: ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, კონსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე ლ. გუდიაშვილის სახელოსნოში.

პოეტის ხსოვნას

ვაგლახ, აუხდა: აღესრულა ზამთარში იგი —
სავსე ათასი საწუხარით, ათასი ფიქრით!...

მშვიდობა უთხრა საქართველოს სიკვდილის წინა,
საქართველოსთვის დაილალა და დაიძინა!...

„უკვდავიც კვდება, — ის ამბობდა, — როგორც მოკვდავი",
და უკვდავებას შეუერთდა სულით მშფოთავით!...

„ვერ მოიცალა საქართველოს მსახურებისგან",
საქართველოთი ჰქონდა გული გახურებული!...

„ვერაფერს ქვეყნად, — წერს გულწრფელად, — ვერ შეველიე,
ცხოვრების ყველა, — ამასაც წერს, — ზვირთში ვერიე".

თავი დაადგა მან უამრავ ეროვნულ საქმეს —
სასიხარულოს, საამაყოს, სახოტბოს, საქებს!...

ავთანდილივით ბრძენი იყო, მოღვაწე ნაღდი!
მარტო რუსთველის იუბილეს გადახდა რად ღირს!

ბევრჯერ, ო, ბევრჯერ აწყენინეს, გული ატკინეს,
მაგრამ ყოველთვის მტკიცედ იდგა გოლიათივით!

ვინც რა უნდა თქვას, — დიდებული მოკვდა ქართველი, —
საქართველოსთვის ყოველ დროში მოსანატრები!...

ყველა ღირსება, — რაც არსებობს, — იმას ამკობდა!
ქართველ ერს დიდხანს დაეტყობა უირაკლობა!...

ზამთარში მოკვდა!.... მგოსნად მოკვდა!... მთაკაცად მოკვდა,
დიდი ავტორი დიდი ლექსის — „ხმა კატამონთან"!

იმ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრო, რასაც ელოდა!...
წავიდა რწმენით, — რომ სულ მალე ის დღეც იალებს, —

კაენის სულის აღზევება საქართველოზე,
ამიერიდან არასდროს რომ გადისრიალებს!...

იქნებ ირაკლის სიკვდილმაც და საფლავმაც მისმა
ერთ მუშტად შეკრან ქართველი და ქართული მიწა!...

ვემშვიდობებით სამუდამოდ როდესაც ახლა,
მისსავე სიტყვებს ვეუბნებით: „შენ აქ ხარ, აქ ხარ!"...

ზაურ ბოლქვაძე.

თავს ვხრით

ისეთი ჟამი დამდგარა, რომ ერის გამორჩეულ ადამიანს, ქართული სიტყვის დიდოსტატს ვერ გეთხოვებით, უკანასკნელ გზაზე ვერ მიგაცილებთ.

რა ვქნათ, ამერ-იმერი ჩაკეტილია. როგორც ძველად, შინააშლილობის სენი მოგვრევია, ცრემლისა და სისხლის ტბორი დაგუბებულა, ოჯახები გლოვად დამსხდარან.

თქვენ, მრავალჭირნანახი კაცი ბრძანდებით, დიდი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბურჯი და მოამაგე ჩვენს მშფოთვარე საუკუნეში.

ბევრ რამეს მოსწრებიხართ და თავად ბევრი რამ განგიცდიათ და მაინც, აღნაგი და წელგამართული დადიოდით. ქართველი კაცისათვის ჩვეული ღიმილი და ხიბლი გამკობდათ. ამგვარი თვისებებითა და ღირსებებით ამაღლებული ახსოვხართ აფხაზეთს, თქვენს ძველისძველ და უმრწემეს მეგობრებს.

გაივლის დრო და ეგზალტირებული, აფორიაქებული საქართველო დამშვიდდება, თითოეული ჩვენგანი ისევ დაუბრუნდება თავის პროფესიულ საქმეს, გაიხსენებს ძვირფას სახელებს, მათ ლიტერატურულ და სულიერ მემკვიდრეობას, მათ შორის აღმოჩნდება ჩემთვის მარად უჭკნობი, ქართული აზრითა და ტკივილით სავსე თქვენი პოეტური „რუსთაველიანა".

მშვიდობით ბატონო ირაკლი.

თავს ვხრი მოკრძალებით თქვენი ნეშტის წინაშე.

ზენო კალანდია,
საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.



ჩამოჰკრავს ზარი,
შენ ძ[illegible]ვს ასწლეულს
საუკუნ[illegible]ს მეასეს
და ის, სიყვარულებს
ფესვი მიაქვთ
[illegible] ახალ[illegible]ში;
ახ[illegible] სხვა ვინმე იმ შენს [illegible]
სიყვარულს უძღვნის,
მაგრამ, ამბობენ,
იქ შენი ხმის ჩრდილი [illegible]

თუ ხარ მ[illegible],
თუ ხარ ნაღველი,
თუ ხარ ნამდვილ[illegible],
თუ ხარ [illegible],
ხარ და ცისკრის კარი გეღება,
ზღვების და მთების,
შენ თვით იყავ შენი აღმ[illegible]—
ამით ქარი, ამით სიყვარული, ამით ასაკი
შენ ამით გეხება..

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. თავხელიძე (კომისიის თავმჯდომარე), გ. ბერიძე, ლ. თაბუკაშვილი, ო. ლითანიშვილი, რ. მეტრეველი, ა. საყვარელიძე, გ. ფანჯიკიძე, გ. ციციშვილი.

დაკრძალვა მოხდება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მშვიდობით!

„ო, არა გაზაფხულზე...
ზამთარში... ზამთარში"...

ირაკლი აბაშიძე.

და წევხარ ახლა შუაგულ ოთახში მეფესავით მშვენიერი და სხივფენილი!...

გათავდა, დასრულდა დიდი წიგნი შენი ცხოვრების. მწამდი და მიყვარდი და ეს კარგად იცოდი შენ, ბრძენმა და ყოვლისმხილველმა!

გათავდა. აწი ყველაფერი ისტორიაა. თანგდევდი და ვამაყობდი შენით, რადგან შენც გიყვარდი და მპატიებდი იმ შეხუმრებას, რასაც ყველას თანდასწრებით გიბედავდი.

აწი მხოლოდ ირაკლი აბაშიძე, დიდი ირაკლი აბაშიძე ხარ, მხოლოდ ერისა და ისტორიის კუთვნილი!

სადაც წავედი ყველგან გახსენე, როგორც ჩემი სამშობლოს ტვიფარი და სულის სიმაღლე. იერუსალიმის კატამონის ეკლესიაში დაგინთე სანთელი და ქრისტეს საფლავზე, ოდეს მაცხოვარს ჩემს უბედურ საქართველოს და შვილს ვავედრებდი, შენი ხმა მესმოდა იქაც!

ასე იყო და ასე იქნება მუდამ: — ბოროტება სიკეთეს ებრძოდა, უნიჭობა ნიჭს, სიმახინჯე სილამაზეს, სიბნელე სინათლეს!

გჯიჯგნეს, ბევრი გჯიჯგნეს, ყველა დროში ბევრი გეპრანჭნენ, მაგრამ ქამრის ბალთამდეც ვერ შემოგწვდა ვერავინ!

გამოჩნდებოდი და ხალხი მონუსხული გზას გითმობდა ვითარცა მახვშსა და მოძღვარს!

...მერე თანდათან ისე ამღვრიეს ქართველობა, გალაკტიონიდან მოყიდებული ვინ არ ლანძღეს და შეაჩვენეს?!

იქნებ არც ღირდეს ცხოვრება ასე ძმა-ძმაზე მისეულ-მიქეზებულ საქართველოში!?...

მაინც უხამსოთა მოგისწრაფეს წუთისოფელი. დათვლილია ცოდვა და მადლი.

შენ კი ნაღვაწი და დამაშვრალი მიდიხარ და მიგაქვს სინათლე და სიდარბაისლე, რომელიც შენს ხალხს არაერთხელ მოენატრება!

შენმა სამშობლომ კარგად იცის შენი ფასი!

დაგვლოცე და გვაპატიე შეცოდებანი.

ნათელში გაბრუნოს ღმერთმა!

მშვიდობით!

რეზო ამაშუკელი.

ბედმა მარგუნა მამად

ირაკლი აბაშიძემ, ჩემმა მზრუნველმა მამამ, თავის დროზე რაინდულად დაიტირა ჩემი მშობელი მამა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი, საქართველოს სახალხო გმირი — კაპიტანი ბუხაიძე.

ბატონი ირაკლი დიდ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ ბავშვობიდანვე, შემდეგ ჩემი მეუღლისა და შვილის მიმართ. უკანასკნელად ერთი თვის წინათ გვნახა და ჩემს პატარა შვილიშვილსაც მზრუნველი ხელი გადაუსვა თავზე.

ერთი ასეთი მომენტი მინდა დღეს გავიხსენო: ერთხელ, ენციკლოპედიაში ერთად მოგვიხდა მისვლა მე და მის ქალიშვილს ირინეს. ბატონმა ირაკლიმ ასე გვითხრა, დღეს ჩემი ქალიშვილების მიღების დღე მაქვსო...

ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალო ის, რომ ბედმა ორი დიდი სახელოვანი ქართველი ვაჟკაცი მარგუნა მამად.

დარეჯან ბუხაიძე,
კაპიტან ბუხაიძის ქალიშვილი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრება პროფესორ მახ[illegible]ნუაძეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის მეტად აქტუალურ და მტკივნეულ საკითხებზე.

თქვენ სად იყავით მაშინ?

— ბატონო ვახტანგ! რა დამოკიდებულება გამოხატეთ 1982 წელს თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდები რომ არ დაეხვრიტათ. მოაწერეთ თუ არა ხელი შეწყალების ქაღალდს?

—არა, მე არც ვიცოდი ამგვარი ქაღალდის არსებობა. მას უფრო ტიტულოვანი პირები აწერდნენ ხელს. ჩემთვის იგი არავის შემოუთავაზებია.

— თუ მოაწერდით ხელს?

— პირდაპირი პასუხის ნაცვლად ამ ისტორიასთან დაკავშირებულ ერთ დეტალს გიამბობ. შემდეგ თვით განსჯით, რასაც ვიქმოდი...

ტრაგედიის მეორე თუ მესამე დღეს იმ ახალგაზრდების მშობლები ერთთავად გარიცხეს სკპ რიგებიდან. დარჩენილი იყო სოსო წერეთლის მამა, უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, ბატონი კოტე წერეთელი. ნაშუადღევს პარტკომის მდივანი (პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე) მიხმობს და მთხოვს, რომ მე, როგორც იდეოლოგიის დარგში მისი მოადგილე, წავიდე ბატონ კოტე წერეთელთან და გამოვართვა ერთსტრიქონიანი ტრაფარეტი-განცხადება: „გთხოვთ ამომრიცხოთ სკპ წევრთა რიგებიდან". ელდანაკრავმა ვიუარე. მცირე პაუზა ისევ მე დავარღვიე და სრულიად მოულოდნელად დავთანხმდი.

— კარგი, წავალ. თან წამყვა პარტკომისიის თავმჯდომარე ბატონი ილია ბაქრაძე. მივედით პანაშვიდზე, მივუსამძიმრეთ (სოსო წერეთელი თვითმფრინავში დაიღუპა).

ბატონმა კოტემ ცალკე ოთახში გაგვიყვანა, სადაც განსვენებული სოსო წერეთლის საინტერესო ნამუშევრებით იყო კედლები სავსე.

— ბატონო კოტე, მოვედით თქვენთან თქვენი მწუხარების გასაზიარებლად. თუ ჩვენ დავთანხმდით პარტიის დავალებას პარტიასთან თქვენი დამოკიდებულების გარკვევის შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი მხარე დავიჭიროთ. როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე გააკეთეთ. ჩვენი ნუ მოგერიდებათ.

— არა, კაცო, მე თქვენი მესმის, თქვენ რა შეგიძლიათ, რაც დაგავალეს ის უნდა გააკეთოთ. უხერხულობაში რატომ უნდა ჩაგაყენოთ, მაგრამ საოცარი კი არის, რომ პარტიისათვის, ჩემი ხალხისათვის კარგის მეტი არა გამიკეთებია რა. ახლახან დავბრუნდი მაროკოდან, ელჩმა მადლობაც გამომიცხადა, იქ სამეცნიერო მივლინება მქონდა. თვითონ შევარდნაძის დავალებით რამდენი საქმე გამიკეთებია საქართველოსა და უცხოეთის კულტურულ ურთიერთობაში. ახლა რა მეპარტიეობა, ერთადერთი შვილი დავკარგე. პარტიას რომ სინდისი ჰქონდეს, ახლა უნდა ამომიდგეს მხარში და იგი ახლა მკრავს ხელს?!.

— ბატონო კოტე, როგორც ახლა ბრძანეთ, ასე დაწერეთ.

— კი მაგრამ ამას ხომ თავისი სტანდარტი აქვს, ეს რომ არ შეიძლება? მერე თქვენ რას გეტყვიან?

— ამას თქვენ ნუ წუხართ, ჩვენ უნივერსიტეტიდან ამ გაჭირვების ჟამს თქვენთან სხვაგვარად არ მოვიდოდით.

ბატონ კოტეს ხელები უკანკალებდა, წერა არ შეეძლო და პირდაპირ მანქანაზე დაიწყო ბეჭდვა. საღამოს ათ საათზე პარტკომის მდივანს მივუტანე ეს ორიგინალური განცხადება. მან იგი რაიკომის მდივანს წაუღო. ეს განცხადება იმ ღამესვე ავიდა „ზემოთ", შევარდნაძესთან. ერთადერთი მშობელი, ვინც არ გაირიცხა პარტიიდან, ეს გახლდათ ბატონი კოტე წერეთელი. თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს მაშინ, იმ დროის კარგად გამხსენებელმა გაიხსენოს!

— მაშ რატომღა დაგაბრალეს ტელევიზიით, ვითომ თქვენ, სოსო წერეთლის მამა უნივერსიტეტიდან გაგეგდოთ.

— ელემენტარულად ეს ასე აიხსნება. ოფიციალური ხელისუფლების იდეოლოგია ეფუძნებოდა ამგვარ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კრედოს: თუ გინდა ადამიანი გააგიჟო, მას უნდა დააბრალო ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა მთელი ცხოვრება.

— თვითონ ბატონი ედუარდის როლზე რას იტყვით. ლამის მთელმა საქართველომ მას დააბრალოს თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვრეტა.

— თქვენთან რომელი საათია?

— პირველი.

— თბილისის აეროპორტში რომელი იქნება?

— იქ თორმეტი, მოსკოვის დროით.

— დიახ, მოსკოვის დროით... ბატონ ედუარდს მაშინ, ჩემი აზრით, მოუვიდა ერთი შეცდომა. საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას იგი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ იმ ახალგაზრდების სიკვდილით დასჯა-დაუსჯელობა თითქოს მის ხელთ იყო. ამ ფაქტს, „მოსკოვის დროით", აკონტროლებდა კრემლი, საკავშირო უშიშროების კომიტეტი. ჩემი აზრით, იმ ინფორმაციით, რაც მე გამაჩნია, მას ალბათ, არაფერი შეეძლო. ნუ დაგვავიწყდება — იყო მსხვერპლი, ადამიანები დაიხოცნენ. ზოგიერთი თვითმხილველის მონათხრობს რომ დავუჯეროთ, ბატონი ედუარდი ისეთივე ზუსტი და უშეცდომო იყო აეროპორტში იმ ღამეს, როგორც თბილისის „დინამოს" სტადიონზე ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" კინაღამ საბედისწერო მატჩის დროს.

ახლა მე დაგისვამთ თქვენ ერთ კონტრშეკითხვას: მთელი წელიწადი, შეუზღუდავი უფლებებითა და თვითნებობით ამ საკითხზე ნადირობდა ყოფილი პრეზიდენტის კომისია. მის ხელთ იყო რესპუბლიკის პროკურატურა, უზენაესი სასამართლო. გეკითხებით, რატომ ვერ გააუქმეს იმ ახალგაზრდების სიკვდილით დასჯის განაჩენი? რახან თქვენ არ იცით, გეტყვით. ეს, უბრალოდ, პროფესიონალურად გახდა შეუძლებელი. იქ კანონი არ იყო დარღვეული. ასეთ შემთხვევაში საყვედური თუ ბრალდება შევარდნაძის მიმართ ამგვარად იცვლება ხოლმე: კი მაგრამ, რატომ ვერ შეძლო მათი შეწყალება, რატომ პროტესტის ნიშნად თავი არ დადო? ამ კითხვებს აქვს პასუხები და, ალბათ, გაცილებით ღრმად თუ ბატონი ედუარდი არა, სხვები უპასუხებენ... მთელი წლის მანძილზე პრეზიდენტის გუნდი, თვითმფრინავის გატაცების ისტორიის პროპაგანდისტები დაუცხრომლად მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს შემოქმედებითი ინტელიგენციის განადგურებისაკენ. ხმის ჩაწყვეტამდე მოუწოდებდნენ ფიზიკურად გაენადგურებინათ ისინი, ვისი სახელებიც წინ უნდა წარვიმძღვაროთ საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. ყოველივე ამას დაკვირვება და გააზრება სჭირდება. როგორ ფიქრობთ, ამისთანა ადამიანებს მართლა იმ დახვრეტილი ბიჭების ბედი ანაღვლებთ? რა თქმა უნდა, არიან წესიერი ადამიანებიც, ფეხის ხმას აყოლილნი. არა აქვთ ინფორმაცია და ისე ლაპარაკობენ.

— მაშინ რატომ არის ბატონი ე. შევარდნაძის მიმართ საზოგადოების გარკვეულ ფენებში უარყოფითი შეხედულება?

— მთავარია სიმართლე, ვინ არის მართალი. როცა ბატონი ედუარდი საქართველოს რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა, თვითონვე იძლეოდა ფორმალურ საბაბს არანაციონალური, ინტერნაციონალისტური აფიშირებით. სინამდვილეში კი ეს იყო საქართველოს მიწა-წყლისათვის, მისი კულტურის შენებისათვის დაუმცხრალი კაცი. ეროვნული ინტერესები მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო და ამიტომ არ შეეშინდა, რომ ინტერნაციონალისტის ჩოხა ჩაეცვა და ისე ეკეთებინა ერის საქმე. თუ გინდა პატარა ერი დაღუპო, მას უნდა შეაპარონ ნაციონალისტური ლოზუნგები. გერმანელს როგორც კი გერმანიის, გერმანელობის ქებას დაუწყებთ, მაშინვე შეგაჩერებთ: ან არ გენდობა ან კი ზრდილობიანად სხვა თემაზე გადაგიტანს ლაპარაკს. ხომ ნახეთ, „ეროვნული" დროშით საქართველო ერთ წელიწადში კატასტროფამდე მივიდა.

— რას გვეტყოდით ბატონ ე. შევარდნაძის, როგორც კომუნისტის, შესახებ?

— საინტერესო კითხვაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე რა ნიშნით შევა ისტორიაში, როგორც კომუნისტური რეჟიმის აღმშენებელი თუ დამანგრეველი? თუ ვინმე ფიქრობს, რომ მას შემთხვევით შემოესხვრა ხელში ეს წყობილება? აი, რა ბრალი ედებოდა ბატონ ედუარდს სკკპ-საგან: ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის ნომერი პირველი დამნაშავე, გერმანიის გაერთიანების ნომერი პირველი დამნაშავე, დაანგრია სოციალისტური ბანაკი, გასცა აღმოსავლეთი ევროპა, დაანგრია ზემძლავრი საბჭოთა სუპერსახელმწიფო, კომუნისტური დიქტატურაც. გეკითხებით, ეს არის კომუნისტი? ვისი მეშვეობით გახდა შესაძლებელი დამოუკიდებლობაზე ფიქრი და მოქმედება? დარწმუნებული ვარ, მას, ალბათ, უნდოდა, რომ საქართველოში კომუნისტურ პარტიას უკან დაეხია და სათავეში მოსული იყო ეროვნული ძალები. კონკრეტულად ვინ და როგორ, ეს სხვა საკითხია და ამის შესახებ ჯერ არს უფრო ვრცლად ითქვას, ოღონდ სხვა დროს.

— ჩვენში ბევრი ფიქრობს, რომ დასავლეთი ცდება, როცა ბატონ ედუარდის პიროვნებაში დემოკრატის ფსიქოლოგიას ხედავს:

— 1981 წლის 26 აპრილს ბატონ ედუარდს მივწერე მწარე წერილი, რეპეტიტორობის აკრძალვის პროექტის თაობაზე. იგი არ დაბეჭდილა, მაგრამ ლამის მთელი თბილისის რეპეტიტორებმა წაიკითხეს და ბევრს დღესაც ახსოვს. სრულად, ალბათ, შემდგომში დავსტამბავ. წერილი იწყებოდა ასე:

„ღრმად პატივცემულო, ბატონო ედუარდ!

თქვენ ისე გვანებივრებთ თქვენი დემოკრატიულობით, რომ თქვენდამი სასაყვედურო აზრს სამახარობლოსავით გაუწყებთ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ თვით თქვენი იმედი გვაქვს".

გაიხსენონ ჩვენმა მწერლებმა, ხელოვნების დარგისა და ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებმა, ვინ დააწყებინა მათ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კრიტიკა. ბევრი მათგანისაგან მსმენია შევარდნაძის კრიტიკა. რაც მთავარია, მოსმენის კულტურაში ბრალს ვერვინ დასდებს. ვერავინ იტყვის — უკადრისია, ყოყოჩია, ქედმაღალია. მე თვითონ გახლდით მოწმე, უნივერსიტეტის კლუბში, რომ ცხვირწინ ხელებს უტრიალებდნენ სტუდენტები, ერთმა ჯგუფმა კიდეც მიატოვა იგი. შემდეგ კი თვითონ დაედევნა და უნივერსიტეტის კომკავშირის მდივნის ოთახში გააგრძელა მათთან დიალოგი. თავი გავანებოთ იმას, რომ მან პირველმა მიიღო და შემდგომ მოსკოვსაც მიაღებინა კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის კანონი. 1975 წლის 31 მაისს, საქართველოს ისტორიის კაბინეტში პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე მას საყვედურით მიმართავს, ბატონო ედუარდ, ცუდად არის ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმე.

— ვიცი... იქნებ ასე გავაკეთოთ. მოსკოვი არ დაგვანებებს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცალკე შექმნას. იქნებ, ბუნებისა და ძეგლთა დაცვის გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტი შევქმნათ? კარგი იქნებაო, — სხვებიც დათანხმდნენ.

ძეგლთა ნგრევის ისტორიამ, ძეგლთა დაცვის ისტორიად გადაკეთება დაიწყო შევარდნაძის დროს. აღარ გავაგრძელებ საუბარს, მისი უშუალო ინიციატივით როგორი გახდა ძველი თბილისი, რას მიაღწია ქართულმა თეატრმა, ქართულმა ფილმმა, ქართულმა სპორტმა. პირუთვნელი მატიანე იტყვის ყოველივეს. ან კი ყოფილა შემთხვევა სტუდენტობას მოესურვებინა მასთან შეხვედრა, დიალოგი და უარი ეთქვა?

— თქვენი საუბარი ხომ არ არის ერთგვარი ნიადაგის მომზადება ბატონი ედუარდის საქართველოში ჩამოსაყვანად?

— ბატონ ედუარდს კარიერის კიბეების მწვერვალები აქვს ავლილი და არც დღეს აქვს კრიზისი. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეა. მას ბრძენ პოლიტიკოსს უწოდებს ყველა ბრძენი პოლიტიკოსი. ასე, რომ მას არავითარი თანამდებობა არ სჭირდება. ნებისმიერ თანამდებობაზე მეტია მისი ავტორიტეტის ძალა. მაგრამ მე რა მაკვირვებდა ყოველთვის! თუ შენ შენი ბედკრული საქართველოს ბედი გაწუხებს და არა შენი ამბიციები, რატომ არ უნდა გინდოდეს, შენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მისი გამოყენება?

გარდა ამისა, რატომ გვავიწყდება მისი იშვიათი გამბედაობის გამო დაუღვრელი დიდი სისხლი ჩვენი ახალგაზრდობისა 1978 წლის 14 აპრილს?

ცნობილი დრამატული მატჩი ვოროშილოვგრადის „ზარიასთან". თვითონ ხომ ყოველგვარი დაცვის გარეშე გადაეშვა აბობოქრებულ ხალხში?

— თქვენ ხომ ეროვნული კონგრესის წევრი ხართ, როგორ უყურებენ თქვენი პოლიტიკური კოლეგები, კონგრესმენები თქვენს ამ თვალსაზრისს?

— ეროვნული კონგრესი არ არის პიროვნული აზრის დასაჭურისების კერა. აქ ერთმანეთს ვავარჯიშებთ განსხვავებული აზრის პატივისცემაში. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ბევრ მათგანს ჩემზე უკეთ არ ესმოდეს ეს პრობლემა. მთელი შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის დიდი ნაწილის აზრი ბატონი ედუარდის შესახებ ყოველთვის მაღალი გახლდათ. ერთი ჩვენი ეროვნული ნაკლი ასე მესახება: ჩვენ შეიძლება არ შეგვაშინოს მტრის ტანკებმა, მაგრამ საოცრად გვეშინია მოდური აზროვნებიდან გადახვევისა. შევარდნაძის ლანძღვა მოდაშია, ხმის ამოღებისა ეშინოდათ და ეშინიათ — მართლა რაღაცა არ დამაბრალონო. მას შემდეგაც კი, როცა კრემლი და მოსკოვი გამოგვეცალა ვითარცა დედაქალაქი, ბუნკერიდან, როგორც ჯოჯოხეთიდან, კვლავ გაისმოდა არარსებული დედაქალაქის „აგენტების" ლანძღვა და კრულვა. დღეს ყოფილი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოსი, საგარეო დედაქალაქი არის ვაშინგტონი. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სრული რეალიზაცია ვერ მოასწრო, მაგრამ ცდა არ დაუკლია შეესრულებინა თავისივე სიტყვები, დაბეჭდილი „ლიტერატურულ საქართველოში" („მკვახე შეძახილის ექო", 15.11. 1991 წელი). იგი წერდა: „თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი გმირებად".

ეს გზა დაღუპვის გარდა, არა არის რა...

— როგორ ფიქრობთ, სახადი უკვე მოვიხადეთ, თუ ჯერ კიდევ დავრჩით განსაკურნებელი...

— სამწუხაროდ, ვერ მოვიხადეთ. ეს განსაცდელი მეგონა უფრო აამაღლებდა ჩვენს ზნეობას. კვლავ მძვინვარებს კლასიკური ეგოიზმი. მე, მე, მე... ვიპარავთ სხვის გამბედაობას, სხვის კეთილ ფიქრს, სხვის კეთილ საქმეს. ჭეშმარიტება არის ის, რაც მე მსურს. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი განსაცდელს გაგვიგრძელებს.

— ახლა ერთი დელიკატური კითხვა: თქვენ უნივერსიტეტში ჯერ იყავით პარტკომის მდივნის მოადგილე (უხელფასოდ), შემდეგ ხუთ წელზე მეტ ხანს პრორექტორი. ამავე დროს კარგა ხანია მონაწილეობთ ეროვნულ ცხოვრებაში. ხომ არ გიგრძნიათ უხერხულობა იმის გამო, რომ კომუნისტური პარტიის წევრი იყავით. უფრო კონკრეტულად: ხელახლა რომ დაატრიალოთ თქვენი ცხოვრების ფირი, ალბათ, უარს იტყოდით კომპარტიის წევრობაზე.

— არავითარ შემთხვევაში, ისევე გავიმეორებდი იმავე გზას და აი რატომ. მე 27 წლისა ვიყავი, რომ მოწამლულ ჰეგელიანელს მეძახდნენ მეგობარ-კოლეგები. მართალი გითხრათ, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან სისხლი მქონდა გამშრალი. არც კომპარტია მხიბლავდა. მაგრამ მე ვიყავი ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ჯიბეში ბევრ ღირსეულ ადამიანს ედო იმ სატანის გამოსახულებიანი მანდატი, რომლის გამოსახულება აღბეჭდილია ფულზეც. თუმცა არ მსმენია ვინმეს ეთქვას, ფუი ეშმაკსო და 25-მანეთიანები ბუნკერიდან გარეთ გამოეყაროს. ჩვენი ფაკულტეტის მამშვენებელ მეცნიერებს არა მგონია ჩრდილი მოჰფენოდა პარტიის წევრობის გამო. კოტე ბაქრაძე, რეზო ნათაძე, ანგია ბოჭორიშვილი, სავლე წერეთელი, გელა ბანძელაძე, ვენორი ქვაჩახია, ნიკო ჭავჭავაძე, გურამ თევზაძე... ვერც მე და ბარე ორიც ამ პიროვნებებს მამულიშვილობით ვერ შეედრება. ნეტავი დღეს მოგვცა ისეთი პარტიის წევრები, როგორებიც იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. პარტიის მანდატს, როგორც საშვს, ისე იყენებდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია. რეზო ჩხეიძის პარტიის მანდატმა საფარველი შეუქმნა იმ ანტიკომუნისტურ ფილმებს, ტალანტურ ფილმებს, რომელთაც მოსკოვის შავი ფილტრი უნდა გაევლოთ. ბატონი რეზო ამ მანდატის საშუალებით ხელმძღვანელობდა იმ კინოსტუდიას, რომელმაც მსოფლიოში პოვა აღიარება. კინო არის ერთ-ერთი მთავარი არხი ქართველი კაცის კეთილშობილებისა და მშვენიერების მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის. აი ამ კინოსტუდიის, ქართული კულტურის დანგრევით დაიწყო „მოღვაწეობა" ეროვნული ლოზუნგებით მოსულმა ანტიეროვნულმა მთავრობამ. უმაღლესი მიზანი ერის არსებობისა კულტურის შექმნაა.

— მხარს უჭერთ თუ არა დროებით მთავრობას?

— დროებით ხელისუფლებას მხარს ვუჭერ მხოლოდ დროებით.

— ნაკლსა და შეცდომებს თუ ხედავთ მათს მოღვაწეობაში?

— რამდენიც გნებავთ, მაგრამ თუ ისინი გაუმკლავდნენ მთავარს, ნიშნავს, რომ გადაარჩინეს საქართველო.

— არც თქვენ გაკლდათ ამ პერიოდში მტრობა. რას იტყვით თქვენს მოძულეთა მიმართ.

— მტრები არასოდეს მაკლდა. მტრებისთვის კი არა, მეგობრებისთვის არა მცალია. დამისახელოს ვინმემ შემთხვევა, მტრობას რომ მტრობით ვუპასუხე. შენს მტერს რომ უნდა შეუნდო, ეს კარგად გავიაზრეთ, თუმცა პრაქტიკულად ეს ძნელია. სხვის ცოდვებს კი სხვამან შეუნდოს. მე რა ძალა მაქვს, რომ ღმერთისა და ერის მგმობელს შევუნდო. ეს განგების ნებაა.

— თქვენი ოპოზიციური მოღვაწეობა, ალბათ, დამთავრდა, რადგან ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვიდა.

— ძნელი სათქმელია. ჯერ ჩვენი ცხოვრება არ არის ისეთი, რომ მისი ხელისუფალნი კრიტიკას გადაურჩნენ. ჩემი ოცნებაა, რამენაირად გავშორდე ყოველგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ბევრი, ბევრი რამ არ მომწონს, არც სხვისი და არც ჩემი.

— ბოლოს და ბოლოს, ხომ იქნება თქვენი მოსაწონი ხელისუფლება?

— გალაკტიონისა არ იყოს, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ იმ დროს კი ჩვენ...

დემოკრატიული კავშირი: რეფორმების გზით

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს დემოკრატიული კავშირის კონფერენცია, რომელმაც კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი ვალერიან ადვაძე, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ — ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სიმრავლეში დემოკრატიული კავშირი მორიგ სიახლედ რომ არ ჩაითვალოს, მკითხველს შევახსენებთ: იგი 1991 წლის მაისიდან არალეგალურად არსებობდა დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით, ოქტომბრიდან კი უკვე გარკვეული პრინციპებით დაიწყო მოღვაწეობა. თუმცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა დადგენილებამ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შესახებ იძულებით შეაჩერა მისი ლეგალიზაცია, ანუ, დაკანონება.

დემოკრატიულ კავშირში გაერთიანებული არიან საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, ეროვნული პარტია, სოციალური სამართლიანობის კავშირი, საქართველოს დემოკრატიული პარტია, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ცალკეული წარმომადგენლები, ჩვენი საზოგადოებრიობის, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენი. კავშირის მუშაობას, თავმჯდომარესთან ერთად, ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები რომან მიმინოშვილი, ვალერი კვარაცხელია, ავთანდილ მარგიანი, გურამ მამულია, მიხეილ ქურდიანი და [illegible] იოსელიანი.

კავშირის მიზნებსა და ამოცანებზე, მის პრინციპებზე ისაუბრეს კავშირის თანათავმჯდომარეებმა ავთანდილ მარგიანმა და გურამ მამულიამ (ცნობისათვის: ბატონი ვალერიან ადვაძე ამჟამად მოსკოვშია).

განხორციელება დემოკრატიული რეფორმებისა, და ამ გზით საქართველოს, დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ცნობა მსოფლიოს ქვეყნების მიერ — ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს კავშირის უპირველესი მიზანი.

— ჩვენ საქართველოს მომავალს ვუყურებთ მსოფლიო დემოკრატიული პროცესების კონტექსტით და იმედი გვაქვს ცივილიზებულ სამყაროში აპრობირებული პოლიტიკური გზებისა, — განაცხადეს ჩვენმა თანამოსაუბრეებმა. — ჩვენს კავშირს საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა აქვს რეგიონებში, რადგან მისი წევრების უმრავლესობას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის განვითარების საქმეში.

დემოკრატიული კავშირის პრინციპებს იზიარებენ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ მოკლე ხანში კავშირში წევრად შესვლას აპირებს სომხეთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ კავშირს თავის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად სწორედ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და იმ ერთგვარი „შიშის სინდრომის" აღმოფხვრა მიაჩნია, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ მათს წინააღმდეგ ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიუღებელი მეთოდების, ე. წ. „თეთრი გენოციდის" გამოყენებით დანერგა.

ის ფაქტი, რომ კავშირის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ბატონებმა გურამ მამულიამ და ავთანდილ მარგიანმა შემდეგნაირად განმარტეს:

— საქართველოს დადგომა რეალური დამოუკიდებლობის გზაზე შესაძლებელი გახდა იმ ძირეული პოლიტიკური გარდაქმნების და მასშტაბური ძვრების წყალობით, რომელთა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი სწორედ ედუარდ შევარდნაძე იყო. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მისმა ახლებურმა პოლიტიკამ მიიყვანა აღმოსავლეთ ევროპის ხალხები გათავისუფლებამდე და ჩვენი ქვეყნის დახსნაც იმპერიის კლანჭებიდან სწორედ ამ შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგია. მან იმპერიული სტრუქტურების უმკაცრეს პირობებში გაარღვია ცენტრის სტალინის შემდგომი ანტიქართული განწყობილება. საქართველოს მომავლის საქმეს უთუოდ სასიკეთოდ წაადგება მისი უდიდესი მსოფლიო ავტორიტეტი. სწორედ ამიტომ აირჩია შარშან ოქტომბერში ჩვენმა კავშირმა იგი საპატიო თავმჯდომარედ. ეს არჩევანი კავშირის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით 10 იანვრის კონფერენციამაც დაადასტურა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემოკრატიული კავშირის წევრებს სერიოზულად არ მიაჩნიათ ფიქრი ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებასა და მის მიერ რომელიმე სახელმწიფო პოსტის დაკავებაზე.

დემოკრატიული კავშირის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია მთავარი კომიტეტი 99 კაცის შემადგენლობით. მუშაობს ასევე სათათბირო და ცენტრალური საკონტროლო კომიტეტი, შენარჩუნებულია კავშირის რიგებში გაერთიანებული საზოგადოებების რეგიონალური ორგანიზაციები და მათ აბსოლუტური ავტონომია აქვთ მინიჭებული.

— ჩვენი კავშირი უერთგულებს კაცობრიობის უმაღლეს იდეალებს — მეგობრობას, თანასწორობას, სოციალურ სამართლიანობას — განაცხადეს საუბრის დასასრულს ბატონმა ავთანდილმა და ბატონმა გურამმა. ამ პრინციპების დაცვით თუ მივალთ, ჩვენი ღრმა რწმენით, საბოლოო მიზნამდე. დემოკრატიზაციის პროცესს ვერაფერი დაუდგება წინ, ვინაიდან ეს ადამიანების სულიერი მოთხოვნილებაა, კაცობრიობის ისტორიის განვითარების ლოგიკური გზაა.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

კი თუ არა?!

როცა რუსთაველის პროსპექტზე პრეზიდენტის ოფისიდან გასროლილმა ტყვიამ წითლად შეღება ქვაფენილი და დიდი ხნის პოლიტიკური თმენის შემდეგ კალაპოტიდან ამოაგდო ოპოზიცია, მსოფლიოს „ლორნეტის მინა" — თბილისისკენ მოექცა და გამალებით დაიწყეს ალბათობის კომპიუტერზე ანგარიში: ვინ ვის... ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს კითხვა წაშლილი იყო, რადგან გაღმაც ჩვენი იცლებოდა სისხლისგან და გამოღმაც.

კი თუ არა, არა თუ კი? — აკაკუნებდა სამყაროს ყველა კუთხეში ელექტრომანქანა, მისი ბოლო სიტყვა იყო „კი" და გადავრჩით.

როგორ ჩანდა ძმათა ტრაგიკული ბრძოლა შორიდან, ვინ როგორ აღიქვა იგი, როგორ შეაფასა?

ანატოლი სობჩაკი,
სანკტ-პეტერბურგის მერი:

9 აპრილის უბედურებამ დამაკავშირა თბილისთან და საქმეში რომ ჩავიხედე, მაშინათვე ვუთხარი ჩემს მეგობარს ელდარ შენგელაიას — ზვიად გამსახურდიას კისერზეცაა დაღუპულთა ცოდვა-მეთქი. მან გაცეცხლებულმა მითხრა: ძალიან გთხოვთ მეორედ არ გაიმეოროთ, ზვიადი ჩვენი სანთელ-საკმეველიაო... მეც გავჩერდი, თუმცა რატომღაც თავიდან არ მჯეროდა მისი გულწრფელობის, ერისკაცობის, არ მიმაჩნდა „ქართველთა მხსნელად", ვთვლიდი დისიდენტად, ანტიკომუნისტად, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური ანგარიში ჰქონდა, მაგრამ გონიერი ქართველები მიუხვდნენ და მიუზღეს, სრულიად სამართლიანად.

მინდა გულწრფელად კიდევ ერთხელ გამოგიტყდეთ სიყვარულსა და პატივისცემაში, რუსს და ქართველს ვერავითარი შლაგბაუმი ვერ გათიშავს, ვერ წაკიდებს ერთმანეთს, მუდამ კეთილი მეზობლობა და მეგობრობა იქნება ჩვენი შუამავალი. მერწმუნეთ, დღევანდელი საქართველოს ტრაგედია ჩვენი ღია ჭრილობაცაა. ქართველის ქართველზე მახვილის აღმართვა უეჭველად სატანის შუამდგომლობით მოხდა და მჯერა ეს არასოდეს გამეორდება. საბედნიეროდ, სამართალმა პური ჭამა, თუმცა ძალზე ძვირად. ეს ტრაგედია ყველასთვის გაკვეთილი უნდა იყოს. რაც შეეხება ახალ, დროებით მთავრობას, მე მათგან მხოლოდ ბატონ თენგიზ სიგუას ვიცნობ, მიმაჩნია, რომ ღირსეული მეთაურია. მაგრამ აუცილებლად სჭირდება ამოდგომა და მხარდაჭერა. ერთსულოვნება, თანხმობა, მიტევება, სიმშვიდე იხსნის დღეს საქართველოს, მე თქვენთან ვარ გულითაც და საქმითაც.

ლეო ბოკერია,
მოსკოვის გულის სისხლძარღვთა ქირურგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი:

იმ დღეებში, როცა ჩემი სამშობლოს ბედი წყდებოდა, რომში გახლდით და ოპერაციებზე უარი განვაცხადე. სკალპელს ვერ ვიჭერდი ხელში, სხეული მიცახცახებდა, სი-ენ-ენ-ისა და ბი-ბი-სის ინფორმაციები მწუხარებისა და სირცხვილის ოფლს ერთად მასხამდა. მოგეხსენებათ, მეც პეტრიაშვილების შედგენილ „გადაგვარებულ" ქართველთა სიაში გახლდით და აბა როგორ გავბედავდი საქართველოსკენ პირის შებრუნებას. ამ სიტყვებისთვისაც უეჭველად ქოქოლას დამაყრის, მოღალატედ გამომაცხადებს ზოგიერთი იარაღასხმული ყაჩაღი და ფლიდი, რომელსაც სურს თავისი ბოროტება და ღვარძლი სამეგრელოსა და ზვიად გამსახურდიას სიყვარულს დაანათლოს. ეს ქართველი ერის ღალატია, სამარცხვინო საქციელია. გონიერება, გონიერება და კვლავაც გონიერება გვმართებს ყველა ჩვენთაგანს, არავის მივცეთ უფლება სასწორზე დადოს ერთიანი საქართველოს ბედი. თუ კი გაჭირდა, მე თქვენთან ერთად ავისხამ აბჯარს. მუხლს ვიყრი იმ ადამიანების წინაშე, ვინც აღუდგა ძალადობას.

სერგეი სტანკევიჩი,
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველი:

არ შემიძლია დავეთანხმო იმათ, ვინც მოსკოვის თბილი ბინიდან და რბილი სავარძლიდან აფასებს რუსთაველზე დატრიალებულ ტრაგედიას და ამბობს: არადემოკრატიული ხერხებით ჩამოაგდეს პრეზიდენტიო. იყო კი ზვიად გამსახურდია ერის არჩეული შვილის პოზიციებზე? ეს კითხვა უნდა დავუსვათ იმათაც, ვინც დღეს საქართველოში პრეზიდენტის სურათებით, ვაი ვიშით დადის ქუჩებში და გაჰყვირის ზვიად გამსახურდიას სახელს. ძალზე სამწუხაროა, რომ დიდი მსხვერპლის ფასად მოხდა ყოველივე. მაგრამ ალბათ, სხვა გამოსავალი არ ჩანდა, როცა პრეზიდენტის სიტყვას ვერ ენდობი, როცა მისი პირობა ყინულზე დაწერილ აღთქმას უდრის, როცა ერის რჩეული ერის კონსოლიდაციას ვერ ახერხებს. გამარჯვებას ვულოცავ ჯანსაღად მოაზროვნე საქართველოს.

* * *

გავიმარჯვეთ?

არა, გვამცნობს ქაშვეთის გუმბათიდან ზარების გუგუნი: შვილის, ძმის, მამის, მეგობრის, მეზობლის სისხლით დაგვსვარა იუდამ! ვილოცოთ, ვილოცოთ, ვილოცოთ...

კლარა აბრამია,
მოსკოვი.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის განცხადება

ლიგამ, რომელშიც საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაერთიანა საქართველოში ამ ბოლო დროს შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ, ამა წლის 14 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც გამოხატა თავისი პოზიცია.

მიუხედავად ლიგის მოთხოვნისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად კვლავაც ტენდენციურად, ცალმხრივად აშუქებენ მოვლენებს. მათი ინფორმაციები სრული და ოპერატიული ვერ არის.

კატეგორიულად მოვითხოვთ შეწყდეს ერის გამთიშველი ტენდენციური გადაცემები და გამოსვლები, შეწყდეს ჯერ კიდევ სამართლებრივად დაუმტკიცებელი ფაქტების გადმოცემა და ინტერპრეტაცია.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია იმის განცხადება, თითქოს პრეზიდენტს ფაქტობრივად გენოციდი მოეწყოს ოსი ხალხისათვის. იმის გულისთვის, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ პიროვნებას, ნუთუ მისაღებია ნებისმიერი საშუალება, ნუთუ არ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ბრალდება ლახავს ერის ღირსებას და მსოფლიოს თვალში ბარბაროსებად წარმოაჩენს ქართველებს.

დღეს სიტუაცია ისედაც უაღრესად დაძაბულია და მეტი თავშეკავება, გონიერება და წინდახედულება გვმართებს. თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას. დღეს საქართველოში პრეზიდენტს საკმაოდ ბევრი ჰყავს აშკარად თავგამოდებული მომხრე. ამას უნდა დავუმატოთ ისინიც, ვინც თუ აშკარად არა, გულის სიღრმეში მაინც უჭერს მხარს, და საზოგადოების ის ნაწილიც, რომელსაც ნებისმიერი კანონიერი ხელისუფლების ძალადობით გადაყენება არადემოკრატიულად მიაჩნია.

ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიარაღებულია.

სიტუაცია უფრო დაიძაბა და საშიში გახდა მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა და, ალბათ, შეეცდება თავის კანონიერუფლებებში აღდგენას, რისკენაც მას უბიძგებს ხალხის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა.

დროებითი მთავრობა, ალბათ, შეეცდება შეინარჩუნოს თავისი სტატუსი. თუ არ მოხდა შეთანხმება, ურთიერთდათმობანი, ამ ორ დაპირისპირებულ შეიარაღებულ ძალას შორის შეჯახება გარდაუვალია, რასაც უთუოდ მოჰყვება სამოქალაქო ომი და საქართველოს კატასტროფა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, გარეშე ძალების წაქეზება რომ არა, საქართველოში ასეთი ტრაგედია არ დატრიალდებოდა, ქართველი ქართველზე ხელს არ აღმართავდა. თუ დავთრგუნავთ სატანას და გამოვიჩენთ ჩვენი ერისთვის დამახასიათებელ სიბრძნეს, გონიერებას, პატრიოტიზმს, ურთიერთსიყვარულს, მიმტევებლობას და სხვა მაღალზნეობრივ თვისებებს, შეგვიძლია თავი დავაღწიოთ მოსალოდნელ კატასტროფას. ამისთვის საჭიროა პრეზიდენტმა და დროებითმა მთავრობამ ერის ინტერესები პირადულზე უფრო მაღლა დააყენონ და იხსნან საქართველო დაღუპვისგან, თორემ მთელი პასუხისმგებლობა დატრიალებული ტრაგედიისთვის მათ დაეკისრებათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლიგას მიაჩნია:

1. სასწრაფოდ მოეწყოს მოლაპარაკება პრეზიდენტსა და დროებით მთავრობას შორის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მრწამსისა, და მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილებანი:

ა) შეიქმნას კოალიციური მთავრობა, სადაც შევლენ დღევანდელი დროებითი მთავრობის, ყოფილი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ) სამხედრო საბჭომ კოალიციურ მთავრობას გადასცეს რწმუნებები.

გ) კოალიციურ მთავრობასთან შეთანხმებით, პრეზიდენტმა დაითხოვოს პარლამენტი და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს ახალი საარჩევნო კანონი და ამა წლის მაისამდე დანიშნოს როგორც პარლამენტის არჩევნები, ასევე, შესაძლოა, რეფერენდუმიც.

დ) არჩევნების შედეგებმა საბოლოო წერტილი უნდა დაუსვას ძალაუფლებისთვის შეიარაღებული ან სხვა არადემოკრატიული წესებით ბრძოლას.

ე) საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ოპოზიციაში აღმოჩნდებიან, იმოქმედონ კონსტიტუციურად და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგას მიზანშეწონილად მიაჩნია აქტიური მონაწილეობა მიიღოს დაპირისპირებულ ძალთა მოლაპარაკებაში და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესში.

დამოუკიდებლად იმისა, დათანხმდებიან თუ არა ჩვენს წინადადებებს დროებით მთავრობასთან და პრეზიდენტთან დაკავშირებით, მოვითხოვთ, რომ არსებულმა მთავრობამ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას ანგარიში გაუწიოს ლიგის მოსაზრებებს, რომელიც გამოხატავს არაპოლიტიკური, ფართო საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას კონსოლიდაციისაკენ, საქართველოს მთლიანობისაკენ. ის შეიარაღებული ძალები კი, რომლებიც იცავენ დროებით მთავრობის თუ პრეზიდენტის ინტერესებს, არ დაემორჩილონ ძმათამკვლელ ომში მონაწილეობის მისაღებად გაცემულ ბრძანებას.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის სათათბირო.
1992 წლის 16 იანვარი.

თხევადი გაზის ახალი ტარიფი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 იანვრის დადგენილებით წესდება თხევადი გაზის ახალი ტარიფი. ერთი კილოგრამი გაზის ფასი ახლა შეადგენს 2 მანეთსა და 73 კაპიკს, შესაბამისად, გაზის ბალონი მომხმარებელს დაუჯდება 30 მანეთი და 30 კაპიკი.

რით არის გამოწვეული მისი ესოდენ მნიშვნელოვანი გადიდება!

ამ კითხვაზე საქინფორმის კორესპონდენტს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის გაზის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ლობჟანიძე:

— გაიზარდა თხევადი გაზის საბითუმო ფასი, — თქვა მან. — მომწოდებლებმა ჩვენ ჯერ კიდევ შარშან გაგვაფრთხილეს. და სწორედაც მოიქცნენ, რადგან უნდა მოვემზადებულიყავით, გვეხორციელებინა გაანგარიშებანი. აგვისტოში საკითხი განსახილველად წარვუდგინეთ მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალი ტარიფები პირველი იანვრიდან დაეწესებინა. არადა ვადები გვაჩქარებდა. ამიტომ, თბილისში მიმდინარე ამბების მიუხედავად, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დიდი მუშაობა გავწიეთ ახალი ფასების საბოლოო დაზუსტებისათვის.

საიდან შედგა ფასი 2 მანეთი და 73 კაპიკი? არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ საქონლის, ნედლეულის, მასალების, მომსახურების ღირებულება კატასტროფულად გაიზარდა. გამონაკლისი არც ნავთობის მოპოვება ყოფილა, რომლის ერთ-ერთი პროდუქტია თხევადი გაზი. მისი ღირებულება 6-ჯერ გაიზარდა, რკინიგზით გადაზიდვა — 16-ჯერ, ცარიელი ბალონის ფასი — 8-ჯერ. უნდა გავითვალისწინოთ სატრანსპორტო ხარჯების გაძვირებაც, რომლებშიც შედის ბენზინი, სალტე, სათადარიგო ნაწილები, და გამოვიდა, რომ კილოგრამი თხევადი გაზი მყიდველს თითქმის ათჯერ ძვირი უჯდება.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უარი გვეთქვა მომწოდებელთა წინადადებებზე, მაგრამ მაშინ რესპუბლიკა უსათბობოდ დარჩებოდა, რომლითაც მუშაობს დაახლოებით 7 ათასი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმო. გარდა ამისა, თხევად გაზს იყენებს 780 ათასი ოჯახი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. ფართოდ გავრცელდა იგი საავტომობილო ტრანსპორტზე, როგორც უფრო ეკოლოგიური თვალსაზრისით სუფთა პროდუქტი. თხევად გაზზე წლიური მოთხოვნა რესპუბლიკაში 220 ათას ტონას შეადგენს.

რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, რომელსაც 550 ათასი ოჯახი იღებს და რომლითაც მუშაობს რესპუბლიკის ასობით მსხვილი საწარმო, მის ფასსაც ალბათ გადასინჯავენ. სამწუხაროდ, მომატების თვალსაზრისით. და ეს ალბათ უახლოეს მომავალში მოხდება.

ლარისა თუმანიშვილი,
საქინფორმის კორ.

პარიზი ტაშს უკრავს ნინო ანანიაშვილს

პარიზის თეატრ „შანზ ელიზეს" სცენა დღეს მსოფლიოს სახელგანთქმულ საბალეტო დასს — დიდი თეატრის სოლისტებს მასპინძლობს. პროგრამაში „ცეკვის გიგანტები" აქვე მონაწილეობენ საფრანგეთის აღიარებული მოცეკვავეები. „ვარსკვლავთა" შორისაა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, საქართველოს სახალხო არტისტი ნინო ანანიაშვილი. კლასიკური მუსიკის მოყვარულები ნახავენ მას ბალეტებში „დონ კიხოტი", „ჟიზელი", „კორსარი", „ფასკუნჯი". ქართველ ბალერინას, რომლის შემოქმედებით ბიოგრაფიას არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ამშვენებს, კარგად იცნობს პარიზელი მაყურებელი. მაგრამ ახლანდელი შეხვედრა მაინც განსაკუთრებულია და, უპირველესად, იმითაც გამოირჩევა, რომ პროგრამაში მონაწილეობს 66 წლის ბალერინა მაია პლისეცკაია, რომელმაც თავის დროზე უდიდესი შეფასება მისცა ნინო ანანიაშვილის ხელოვნებას, უზადო და მშვენიერი უწოდა მას. სხვათა შორის, მაია პლისეცკაია ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს. პარიზის სცენაზე იგი იცეკვებს „მომაკვდავ გედს", რომელიც პირველად ზუსტად 50 წლის წინათ შეასრულა. ამ გენიალური მინიატურით აღაფრთოვანა მსახიობმა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მაყურებელი.

ამ შეჭირვების ჟამს, როცა საქართველოში დენთის სუნი ტრიალებს, ქართველ ხალხს სიხარულის პატარა განცდაც კი მხნეობას მატებს. მით უფრო გვესახელება ნინო ანანიაშვილის აღიარება, რომლის ნატიფმა ხელოვნებამ აღაფრთოვანა ამერიკა და ინგლისი, ინდოეთი და პორტუგალია, ესპანეთი და საფრანგეთი, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო. წარმატება არ მოჰკლებოდეს ჩვენს თანამემამულეს, რომლის შემოქმედებითი ცხოვრება უფლებას გვაძლევს ვიამაყოთ მისი სახელით.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პოეტი-აკადემიკოსი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა პოეტი-აკადემიკოსი

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის საფინანსო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამმართველოს ყოფილი უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, პერსონალური პენსიონერი

არტაშ პავლეს ძე აშჩიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სარედაქციო კოლეგია.

მისამართი: 380096, თბილისი, ჩ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; [illegible] რეფერენტი 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხომლელის ქ. № 39. [illegible] 4434.